# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 9 ივლისი 2007 №155 (3078)

ფასი 50 თეთრი




## დასაწყისი 11 აგვისტო

# ბარსელონას ახალი მარკა: კახა კალაძე

## სატრანსფერო ბაზარში დიდი რია-რიაა: გაბრიელ მილიტომ კატალონიელებს საქართველო გაახსენა!






## ძალაც და იღბალიც! საქართველომ ელიტა არა და არ დათმო

ქართველმა ახალგაზრდებმა ევროპის ელიტარულ A დივიზიონში ადგილი ხომ შეინარჩუნეს და თან ეს ისე მოახერხეს, ჯგუფში ორი ქვეყნის ნაკრები უკან მოიტოვეს. დავით უსტიაშვილის სამწყსომ შაბათს ჯერ იტალიასთან წააგო, გუშინ კი ბულგარეთი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაამარცხა და ჯგუფში წინ მხოლოდ მასპინძელი იტალია გაუშვა.

უსტიაშვილმა ყველაფერი სწორად გათვალა — ფავორიტ იტალიელებს თავი არ შეაკლა, სათამაშო დრო ყველას თითქმის თანაბრად გაუნაწილა და ბულგარეთთან ბრძოლას შედარებით დასვენებული გუნდით შეხვდა.

ჩვენები მთელი თამაშის განმავლობაში უგებდნენ ბულგარელებს, მაგრამ ჩვეული სენი შეეყარათ და ზედ ბოლო წუთზე ჩამორჩნენ. საბოლოოდ ქართველები ბედმა მაინც არ გასწირა და ისეთი გამარჯვება მოიპოვეს, ამ მატჩის მონაწილენი ვერასდროს რომ ვერ დაივიწყებენ.

ქართველები ხვალიდან ახალ ჯგუფში გააგრძელებენ ბრძოლას. მათ გაცილებით ძლიერი მეტოქეები ეყოლებათ — ესპანეთი, ხორვატია და ისრაელი. ყველა მატჩი რომ წააგოს, უსტიაშვილს უკვე ველარავინ დაძრახავს. მთავარი მიზანი მიღწეულია — საქართველო მომავალ წელსაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს!

## უიმბლდონის ორი სქესი: უილიამსი და ფედერერი





AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთი წავიდა, მეორე მოვიდა



რომან დობეში

## დინამოს გერმანიაში კარლ ცაისი დარჩა

გერმანიაში მყოფი თბილისის „დინამო“ შაბათს ერფურტს ესტუმრა და რეგიონალლიგის ადგილობრივ გუნდთან ამხანაგური მატჩი გამართა. ჩვენებმა 0:1 წააგეს.

მატჩმა ერფურტელთა დიდი ინტერესი გამოიწვია — ტრიბუნაზე 3 ათასამდე ქომაგი შეიკრიბა და მათ შორის ქართველობაც იყო. ფეხბურთელებსაც მეტი სტიმული მიეცათ და ერთობ საინტერესო თამაში გამოვიდა.

მართალია, სულ ერთადერთი გოლი გავიდა, ისიც პენალტით, მაგრამ სიმწვავე და ეფექტური კომბინაციები მეტოქეებს არ დაუკლიათ. ის გოლი კი მასპინძელთა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა როკენბახმა მე-13 წუთზე გაიტანა.

შესვენებამდე ჩვენებს ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე კარგი შანსი გაუცუდდათ, ხოლო იმავ როკენბახმა ტაიმის მიწურულს ბურთი გიორგი ლორიას კარის ძელს გაარტყა. ერთხელაც კი ძელმა „ერფურტი“ იხსნა — მიხეილ ხუციშვილს არ გაუმართლა. საგოლე მომენტები შესვენების შემდეგ გურამ კაშიასა და ჯეფერსონსაც ჰქონდათ, მაგრამ მეკარე ყოჩაღობდა.

გერმანული შეკრების ბოლოსწინა მატჩი „დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ლორია (ოვონო 46), შ. კაშია, ზელიჩი (გ. კაშია 46), კრშკო, ლობჟანიძე (თომაშვილი 46), დიღმელაშვილი (ხმალაძე 46), ოდიკაძე (ფირცხალავა 73), რაიმონდი (ჯანაშია 46), ფეიქრიშვილი (სპასოევიჩი 72), მერებაშვილი (ხუციშვილი 46), აკორემი (ჯეფერსონი 46).*

გუშინ „დინამოს“ ახალი ფეხბურთელი შეემატა, 26 წლის ჩეხი რომან დობეში. ის მარცხენა მცველად თამაშობს და ბოლოს მოედანზე „ტრენჩინის“ მაისურით გამოდიოდა. დობეში მილოშ კრშკოს თანაგუნდელი იყო. გუშინ კი „დინამოსთან“ ერთად ივარჯიშა.

„დინამოს“ გერმანული ბანაკიდან სიახლეა ისიც, რომ გუნდი დატოვა ბრაზილიელმა ჯეფერსონმა — მან დუშან უჰრინის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა.

თბილისის „დინამო“ გერმანიაში იენის „კარლ ცაისთანაც“ ითამაშებს და ზეგ შინ დაბრუნდება. სწორედ „კარლ ცაისთან“ შეხვედრის შემდეგ დაასახელებს თბილისელთა მწვრთნელი დუშან უჰრინი იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ათამაშებს.

**კობა ინასარიძე**



შოთა კაშიას „დინამოს“ როკენბახმა (მარცხნივ) გაუტანა

# ოლიმპის სამი აფრიკა

საქართველოს ჩემპიონი „ოლიმპი“ ტესტ-მატჩში თბილისის „ლოკომოტივს“ 1:1-ზე გაეყარა.

პირველი ტაიმი ვაკელებმა გიორგი გულორდავას გოლით მოიგეს, მეორეში კი მაროკოელმა ბუდჰი ბუსვანგამ გაათანაბრა.

„ოლიმპმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

*პირველი ტაიმი: მერლანი, მახვილაძე, ორბელაძე, ჭიჭვეიშვილი, სილაგაძე, ხუბუა, ქებაძე, კოშკაძე, გეწაძე, დვალი, დვალიშვილი*

*მეორე ტაიმში შევიდნენ: გიგაური, აკუასაგა, მახარაძე, კახელიშვილი, ჟივკოვიჩი, ბუსვანგა, სებისკვერიძე*

„ლოკომოტივის“ ძირითადი შემადგენლობა კი ასეთი იყო: *გვარამაძე, გ. კვახაძე, გუშარაშვილი, ლალაძე, ხოხონიშვილი, მალიჩავა, სამხარაძე, ჟღენტი, გულორდავა, ალავერდაშვილი, მიქაძე*

„ლოკომოტივის“ თავკაცმა გიორგი კიკნაძემ გვითხრა, 18 ივლისამდე მეტი საკონტროლო შეხვედრა აღარ გვექნებაო. რაც შეეხება „ოლიმპს“, გუნდში, სავარაუდოდ, სამივე აფრიკელი ფეხბურთელი დარჩება, მეტი უცხოელის ჩამოყვანას კი, როგორც ჩანს, აღარ უნდა ველოდოთ.

**ილია ნანობაშვილი**

# კლადნო მეორედ და დასანანი სლავია...

## ამერმა უყურადღებოდ წააგო

7 ივლისი

**კლადნო 1:4 ამერი**

0:1 ტატანაშვილი (1), 1:1 ჰოფმანი (11), 1:2 დეკანოსიძე (24), 1:3, 1:4 ტატანაშვილი (45, 53)

კლადნო: კოსტოლანსკი, ჰოფმანი, ბენეში, პლავა, პაინიკი, მიხალი, შელიპა, საბო, კროიცი, კაბელე, ზახარიაში

მწვრთნელი: იაროსლავ შილჰავი

ამერი: ნადირაშვილი, მჭედლიშვილი (ელბაქიძე 63), ხვადაგიანი (დავითნიძე 63), კაკაშვილი (დიდავა 63), ჩიკვილაძე (კობაური 63), შალამბერიძე (ჯელაძე 64; დოლიძე 83), მესხი (დობროვოლსკი 59), დეკანოსიძე (ბოლქვაძე 59), ა. ალავიძე (ვარდოსანიძე 46), ტატანაშვილი (დავითაშვილი 58), ბ. ცხადაძე (რ. გოცირიძე 58)

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ვარდოსანიძე (54)

მსაჯი: რუდოლფ ჰოფმანი (ჩეხეთი)

პირველი მატჩის მერე, რომელშიც „ამერმა“ „კლადნოს“ 2:0 მოუგო, კლადნოელებმა შემადგენლობა გადაახალისეს. გადახალისებული შემადგენლობით ითამაშა „ამერმაც“, რადგან ერთ დღეში გუნდს პრაღაში „სლავიასთან“ ჰქონდა მორიგი სპარინგი.

თამაში დაიწყო და 63 წამში ანგარიშიც გაიხსნა — კობა შალამბერიძის პასით დიმიტრი ტატანაშვილმა გაიტანა.

შალამბერიძე ვახსენეთ და, „ამერის“ ახალწვეული მატჩის მსვლელობისას სამჯერ გავიდა მეკარესთან პირისპირ, თუმც მიზანმა დაალალატა და გოლი ვერ გაიტანა. მატჩის გმირი კი, ცხადია, ტატანაშვილი გახდა, მაგრამ მის ჰეთ თრიქამდე ჯერ კლადნოელებმა ანგარიში გაათანაბრეს — მე-11 წუთზე ჰოფმანმა საჯარიმო დარტყმით ბურთი ცოცხალ კედელს გადაავლო და დაბალ კუთხეში შეაგდო.

შემდეგ ისევ „ამერის“ იერიშების ჯერი დადგა და ერთ-ერთი შეტევა მეორე გოლით დასრულდა. შეტევაში ჩართულმა თენგიზ ჩიკვილაძემ ფლანგზე გრძელი, დიაგონალური პასი მიიღო და მეკარის ბაქანში ჩააწოდა, სადაც მეკარესა და ორ მცველს გიორგი დეკანოსიძემ აჯობა. ამის მსგავსი იყო მესამე გოლიც, ოღონდ შემსრულებლები სხვანი იყვნენ — პასი არჩილ ალავიძის იყო, საგოლე დარტყმა ტატანაშვილის.

ტატანაშვილმა ჰეთ თრიქი მეორე ტაიმის დაწყებიდან 8 წუთში შეასრულა, როცა ცენტრის ხაზთან გიორგი ვარდოსანიძის პასი მიიღო, ნახევარი მოედანი გადაჭრა და მეკარეც მოატყუა...

ამის შემდეგ გიორგი ჩიხრაძემ რამდენიმეწუთიან მონაკვეთში მეკარის გარდა ყველა ფეხბურთელი შეცვალა.

ორჯერ საუკეთესო შანსი ჰქონდა რევაზ გოცირიძეს, რომელმაც მეკარის ბაქნამდე მიაღწია, ბოლო დარტყმები კი არ გამოუვიდა.

რაც შეეხება კლადნოელებს, მათ კარისკენ რამდენჯერმე სახიფათოდ დაარტყეს, ორჯერ კი ბურთი ლადო ნადირაშვილმა მოიგერია.

8 ივლისი

**სლავია 4:3 ამერი**

1:0 იენველიკი (11), 1:1 დავითნიძე (19), 1:2, 1:3 ბოლქვაძე (26, 32), 2:3 შმიცერი (36), 3:3 ტავარესი (45), 4:3 ბოტულიო (83)



მიხეილ კობაური და რევაზ გოცირიძე ჩეხების წინააღმდეგ

სლავია: კოზაჩიკი, ბრაბეცი, ჰუბაჩეკი, ტავარესი, ვლჩერი, შმიცერი, კოლივოდა, სიკლიჩი, იენველიკი, შოურერი, კრაჩიკი

შეცვლაზე შევიდნენ: ბრიჟალი, ბოლეშკი, ბოტულიო, ზელინკა, დოჩკალი

მწვრთნელი: კარელ იაროლიმი

ამერი: ქვარახია, კობაური (კაკაშვილი 58), დავითნიძე, დიდავა (მჭედლიშვილი 68), ელბაქიძე (ჩიკვილაძე 60), დოლიძე (შალამბერიძე 64), ბოლქვაძე (დეკანოსიძე 66), დობროვოლსკი (მესხი 64), ჯელაძე (ა. ალავიძე 58), დავითაშვილი (ტატანაშვილი 55), რ. გოცირიძე (ბ. ცხადაძე 64)

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

ჩეხური საზომით გრანდებს თუ ვინმე მიეკუთვნება, ერთ-ერთი პრაღის „სლავიაცაა“, რომელთანაც „ამერმა“ დრამატული ტესტ-მატჩი დათმო. არადა, წაგება რა მოსატანია, 32-ე წუთზე 3:1 იგებდა, მაგრამ დაცვაში უყურადღებო თამაშმა წააგებინა.

ბევრჯერ გინახავთ, პირველი ტაიმი 3:3 დამთავრებულიყო? გოლები პანტა-პუნტით ცვიოდა აქეთ-იქით, პირველად კი ჩეხებმა გაიტანეს.

თამაში გიორგი ჩიხრაძის გუნდის უპირატესობით დაიწყო, მაგრამ მე-11 წუთზე „ყვითლების“ დაცვამ მარტო დატოვა მასპინძელთა იენველიკი და „სლავია“ 1:0 დაწინაურდა.

ამის შემდეგ „ამერის“ 13-წუთიანი ბენეფისი დაიწყო: სულიკო დავითაშვილის საჯარიმოს გიორგი დავითნიძე თავურით შეეგება და 1:1, დავით ბოლქვაძემ მოედნის ცენტრში მიიღო ბურთი, ცოტაც გაირბინა და შორიდან დააქუხა, ბურთი ძელასხლეტით შევარდა კარში — 1:2.

იმავ ბოლქვაძემ ამჯერად საჯარიმო ჩააზვია. ცოცხალ კედელს გადაავლო ბურთი — 1:3.

...მაგრამ „ამერმა“ როგორღაც მოახერხა და, ტაიმის დარჩენილ წუთებში ორი გოლი გაუშვა. ჯერ ცნობილმა ვლადიმირ შმიცერმა ისარგებლა ჩვენების დაცვის დაუდევრობით და ერთი შეხებით ანგარიში შეამცირა. სხვათა შორის, ეს შმიცერის პირველი თამაში იყო „სლავიაში“ და ქომაგების თუ ჟურნალისტების უდიდესი ინტერესიც გამოიწვია. ზედ შესვენების წინ კი ტავარესმა თითქმის ანალოგიური შეაგდო — ისევ დაცვა ჩავარდა.

ისიც ავღნიშნოთ, რომ 2:3-ისას გიზო ჯელაძემ ძელს მოარტყა ბურთი, გამოვარდნილს კი დავითაშვილმა დაამატა და კარის ხაზზე მდგომ მცველს მოხვდა...

მეორე ნახევარში „ამერს“ ერთი კარგი მომენტი ჰქონდა — რევაზ გოცირიძე პირისპირ გავიდა მეკარესთან, მაგრამ მაინცდამაინც მას მოარტყა ბურთი.

„სლავიამ“ სადღაც 70-ე წუთიდან მოახერხა უპირატესობის მოპოვება, ბურთიც დაიჭირა, თუმც „ყვითლების“ კარს დიდად არ დამუქრებია, სანამ... 83-ე წუთზე ისევ „ამერის“ უკანა ხაზის უყურადღებობა და ახლო ძელთან მყოფმა ბოტულიომ გადამწყვეტი გაიტანა.

ნამატჩევს გიორგი ჩიხრაძე სწორედ დაცვის თამაშით იყო უკმაყოფილო. მართლაც, როგორი მოსანელებელია ასეთ ძლიერ მეტოქესთან ორბურთიანი სხვაობის გაფუჭება...

**გიორგი დარჯანია**
**ბლშანიდან**




სარბიელელები ვულოცავთ
ჩვენს თანამშრომელს
რუსუდან ერისთავს
შვილიშვილის
რუსუდანის
დაბადებას!
ახალშობილს ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
ბედნიერებას და ულევ სიხარულს!

გიო ახვლედიანის

სვეტი

# მექსიკა და სხვა

მგონი, ადრეც დამიწერია და ახლა, „კოპა ამერიკას“ დღეებში სხვანიც ამბობენ და კიდევ ერთხელ გამახსენდა: მექსიკის ჩემპიონატი, რომლისთვისაც თვალიც არ მოგვიკრავს არასდროს, არც ერთ არხზე, საქართველოს მაგალითად გამოადგებოდა, ოღონდ იმის შემდეგ, რაც ჩემპიონატში მართლა ის კლუბები დარჩებოდნენ, რომლებსაც სარჩო-საბადებელი არ ექნებოდათ საძებარი. ანდა იმის შემდეგ, რაც განისაზღვრებოდა ფეხბურთელთა მინიმალური ხელფასი, იქნებოდა მათი ტრეიდ იუნიონი და ასე შემდეგ.

რაღა ეს მექსიკის ჩემპიონატი ამოვიჩემე? მგონი, ბოლო დროს სწორედ მექსიკაა ფეხბურთის უსწრაფესი წინსვლის მაგალითი. ჩვენს თვალწინ ბოლო ოც წელიწადში გაიქაჩა თურქეთი, არის სხვა მაგალითებიც, მაგრამ მექსიკის ჩემპიონატი მაინც უფრო მომხიბვლელია მთელი თავისი საფეხურებით და ხალხის ფეხბურთზე მიბმის საშუალებებით.

იქ ახლა დიდი ფული ტრიალებს. იქაური ფეხბურთელები არც ადრე იკლავდნენ თავს საზღვარგარეთ თამაშით და ახლა ხომ მით უმეტეს. და ჩვენ საიდან უნდა ვიშოვოთ ფული? როდის მოვა დიდი ფული ჩვენს პატარა ფეხბურთში? იტყვიან, არასდროს. დიდი ფული რომ მოვიდეს, ფეხბურთი მომგებიანი უნდა გახდეს, ეს კი ისეთი გრძელი ისტორიაა ჩვენისთანა ქვეყნისთვის, რომ ლაპარაკის და მით უმეტეს, წერის წამოწყება კომპიუტერებს აგვიბოლებს. შეიძლებოდა წყნარად დაწყება, სულ პატარა ნაბიჯებით და თუ სწორად ვივლიდით, ერთ დღეს მშვენიერი აფეთქების მომსწრენი შევიქნებოდით. მთავარია, პროვინციული იერი მოშორდეს საკლუბო ფეხბურთს. მერე ყველაფერი დაიწყება. მთავარია, კლუბის არსებობა ამა თუ იმ ქალაქში სავალდებულო აღარ იყოს, არამედ ვიღაცის, თუნდაც ერთი კაცის პირადი საქმე, თორემ დღეს, როცა საფეხბურთო პროვინციები თითქმის აღარც არსებობს...

ახლა უცებ ვასკა ტროიანი გამახსენდა. გახსოვთ ასეთი ფეხბურთელი? ძალიან დიდხანს თამაშობდა დასავლეთ საქართველოს კლუბებში. კაი მოთამაშე იყო. ერთხელ „გურიამ“ ცსკა გააგდო თასიდან. გოლი, მგონი, სწორედ მან გაიტანა. მე უკვე მობერებული მახსოვს, მაშინდელი თბილისის „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ, ტყიბულში იყო, თუ არ ვცდები... ამას თავისი ხიბლი აქვს, მაგრამ, იმ დროს ხომ ვეღარ დაიბრუნებ? ის პატარა კლუბიც, ვასკა ტროიანი რომ თამაშობდა, ნამდვილი და იმ პატარა ქალაქისთვის საჭირო უნდა იყოს. სხვანაირად, აღარ გამოდის...

# კალენდარი და კითხვები
## აგვისტოდან ბილეთები იქნება



მაშ ასე, საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის გუნდები დაწყვილდნენ და 11 აგვისტოდან მაისის ბოლომდე ჩემპიონის ვინაობას გაარკვევენ. თარიღები ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ ცნობილია, რომ ტურის მატჩების უმეტესობა უქმეებზე, შაბათ-კვირას გაიმართება. პროფლიგის გენმდივნის პაატა ბურჯალიანის თქმით, კალენდრის თარიღების დადგენისას გათვალისწინებული იქნება ეროვნული თუ სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებების მატჩები, მათი მოსამზადებელი ვადები, კლუბებისა და მასმედიის ინტერესები.

მომავალი ჩემპიონატი ძველებური სისტემით ჩატარდება, გუნდები ორ წრედ, შინ და სტუმრად ითამაშებენ, უმაღლეს ლიგას დატოვებს ორი გუნდი და ერთიც გადათამაშებაში მოხვდება, რომელიც პირველი ლიგის მესამეადგილოსანს გაეჯიბრება. პირველი ლიგის ორი საუკეთესო ავტომატურად უმაღლესში აინაცვლებს.

2008-2009 წლების სეზონის წინ ჩემპიონატის რეგლამენტში ალბათ ცვლილებები იქნება, პროფლიგა უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობის ორით შემცირებას აპირებს და სპორტული პრინციპი რომ არ დაარღვიოს, სავარაუდოდ, ასე იტყვის: უმაღლესი ლიგიდან გავარდება სამი გუნდი, ხოლო ერთი პირველი ლიგის მეორეადგილოსანს პლეი ოფში გაეჯიბრება. საუკეთესო პირველლიგელი კი უმაღლესში თამაშს გაინაღდებს... თუმცა გავიმეოროთ, ეს ჯერ მხოლოდ პროექტია.

კალენდარში კითხვის ნიშნები ნუ გაგაკვირვებთ — აქ მალე ალბათ „ცხინვალს“ ამოიკითხავთ.

უმაღლესში საჩხერის „ჩიხურას“ უნდა ეთამაშა, მაგრამ გაჭირვების გამო ზემოიმერლების თამაში სათუო გახდა და ახლა მათი ადგილისკენ „ცხინვალი“ ისწრაფის, რომელსაც პროფლიგაში სათანადო ფინანსური გარანტიები უკვე წარდგენილი აქვს. მოკლედ, სადაც კითხვის ნიშანი შეგხვდებათ, იქ შეგიძლიათ, „ცხინვალი“ იგულისხმოთ. ყოველ შემთხვევაში, ამით არაფერი დაშავდება.

მომავალი ჩემპიონატისთვის გუნდები შაბათს დაწყვილდნენ. კენჭისყრის პრინციპი იყო და გუნდებიც, შესაბამისად, 1-დან 14-მდე დანომრეს. კენჭისყრას მხოლოდ „ბათუმისა“ და ქუთაისის „ტორპედოს“ წარმომადგენლები არ დასწრებიან. პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა ერთხელაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეროვნული ჩემპიონატის პრესტიჟისთვის, საორგანიზაციო პრობლემების შემცირებისთვის და კლუბების ბიუჯეტის მეტ-ნაკლებად გასამდიდრებლად, უკეთესი იქნება, მატჩებზე დასასწრები ბილეთები გაიყიდოს. პროფლიგას ასეთი სურვილი ადრეც ჰქონდა, მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო...

ახლა ეს სურვილი უფრო მოთხოვნის სახეს იღებს. საერთო საქმისთვისაც ასე აჯობებს, მით უმეტეს, რომ ბილეთის ფასი ალბათ მინიმალურ-სიმბოლური იქნება...

კობა ინასარიძე

# ვადუცი: ჯერ ვილი, მერე -შვილი

**უეფას** თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის დაწყებამდე ათიოდ დღე დარჩა და გუნდებიც გამალებით ემზადებიან.

თბილისის „დინამოს“ მეტოქემ, ლიხტენშტაინურმა „ვადუცმა“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა. „ჯუჯების“ მეტოქე ჩელენჯლიგელი „ვილი“ იყო. თამაში შვეიცარიელების გამარჯვებით დასრულდა — 1:0.

ამ მატჩში „ვადუცმა“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ხომერი (ვიუტრიხი 46), რიცბერგერი, ზომბიჩი, ალასტრა, ჰასლერი (რეიმანი 46), ლანგლეტი (რონერი 54), მაგეტი (აკდემირი 62), ალემანდრე (სუტერი 46), შტურმი, პოლვერინო (გასპარი 62), გროსკლაუსი.*

მიხეილ ჟორჟოლიანი

# ბელხატუვს მეორე ცდა ჩაუვარდა

**უეფას** თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ამერის“ მეტოქე „გკს ბელხატუვმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი გამართა. პოლონელები ზედიზედ მეორედ გაეჯიბრნენ ბულგარულ „ლიტექსს“ და ამჯერად 0:1 დამარცხდნენ.

პირველ ჯერზე გუნდები უგოლოდ დაშორდნენ ერთმანეთს.

„ბელხატუვის“ თავკაცმა ორესტ ლენჩიკმა ყველა ფეხბურთელი გამოსცადა და ტაიმები განსხვავებული შემადგენლობებით ათამაშა...

*პირველი ტაიმი: ლეხი, კოვალჩუკი, პეტრაშაკი, სტოლარჩუკი, პოპეკი, ტომშაკი, სტრაკი, იარუგოვსკი, ჩვალიბოგოვსკი (ტრუშკოვსკი 26), ვრობელი, კოსტელი.*

*მეორე ტაიმი: კოზიკი, გროძიცკი, კკოტი, მაგდონი, კომოროვსკი,*



ორესტ ლენჩიკი

*ტომშაკი (ზავოძინსკი 75), იარუგოვსკი, რახვალი, ვრობელი, პოზნიაკი, ტრუშკოვსკი.*

მიხეილ ჟორჟოლიანი

## პირველი წრე

### პირველი ტური
მესხეთი – მგლები
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – ამერი
ტორპედო – ბათუმი
ოლიმპი – დინამო
სიონი – ?
ბორჯომი – მერანი

### მეორე ტური
მგლები – მერანი
? – ბორჯომი
დინამო – სიონი
ბათუმი – ოლიმპი
ამერი – ტორპედო
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
მესხეთი – ზესტაფონი

### მესამე ტური
ზესტაფონი – მგლები
ლოკომოტივი – მესხეთი
ტორპედო – ვიტ ჯორჯია
ოლიმპი – ამერი
სიონი – ბათუმი
ბორჯომი – დინამო
მერანი – ?

### მეოთხე ტური
მგლები – ?
დინამო – მერანი
ბათუმი – ბორჯომი
ამერი – სიონი
ვიტ ჯორჯია – ოლიმპი
მესხეთი – ტორპედო
ზესტაფონი – ლოკომოტივი

### მეხუთე ტური
ლოკომოტივი – მგლები
ტორპედო – ზესტაფონი
ოლიმპი – მესხეთი
სიონი – ვიტ ჯორჯია
ბორჯომი – ამერი
მერანი – ბათუმი
? – დინამო

### მეექვსე ტური
მგლები – დინამო
ბათუმი – ?
ამერი – მერანი
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი
მესხეთი – სიონი
ზესტაფონი – ოლიმპი
ლოკომოტივი – ტორპედო

### მეშვიდე ტური
ტორპედო – მგლები
ოლიმპი – ლოკომოტივი
სიონი – ზესტაფონი
ბორჯომი – მესხეთი
მერანი – ვიტ ჯორჯია
? – ამერი
დინამო – ბათუმი

### მერვე ტური
მგლები – ბათუმი
ამერი – დინამო
ვიტ ჯორჯია – ?
მესხეთი – მერანი
ზესტაფონი – ბორჯომი
ლოკომოტივი – სიონი
ტორპედო – ოლიმპი

### მეცხრე ტური
ოლიმპი – მგლები
სიონი – ტორპედო
ბორჯომი – ლოკომოტივი
მერანი – ზესტაფონი
? – მესხეთი
დინამო – ვიტ ჯორჯია
ბათუმი – ამერი

### მეათე ტური
მგლები – ამერი
ვიტ ჯორჯია – ბათუმი
მესხეთი – დინამო
ზესტაფონი – ?
ლოკომოტივი – მერანი
ტორპედო – ბორჯომი
ოლიმპი – სიონი

### მეთერთმეტე ტური
სიონი – მგლები
ბორჯომი – ოლიმპი
მერანი – ტორპედო
? – ლოკომოტივი
დინამო – ზესტაფონი
ბათუმი – მესხეთი
ამერი – ვიტ ჯორჯია

### მეთორმეტე ტური
მგლები – ვიტ ჯორჯია
მესხეთი – ამერი
ზესტაფონი – ბათუმი
ლოკომოტივი – დინამო
ტორპედო – ?
ოლიმპი – მერანი
სიონი – ბორჯომი

### მეცამეტე ტური
ბორჯომი – მგლები
მერანი – სიონი
? – ოლიმპი
დინამო – ტორპედო
ბათუმი – ლოკომოტივი
ამერი – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – მესხეთი

## მეორე წრე

### მეთოთხმეტე ტური
მგლები – მესხეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
ამერი – ლოკომოტივი
ბათუმი – ტორპედო
დინამო – ოლიმპი
? – სიონი
მერანი – ბორჯომი

### მეთხუთმეტე ტური
მერანი – მგლები
ბორჯომი – ?
სიონი – დინამო
ოლიმპი – ბათუმი
ტორპედო – ამერი
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი – მესხეთი

### მეთექვსმეტე ტური
მგლები – ზესტაფონი
მესხეთი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – ტორპედო
ამერი – ოლიმპი
ბათუმი – სიონი
დინამო – ბორჯომი
? – მერანი

### მეჩვიდმეტე ტური
? – მგლები
მერანი – დინამო
ბორჯომი – ბათუმი
სიონი – ამერი
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია
ტორპედო – მესხეთი
ლოკომოტივი – ზესტაფონი

### მეთვრამეტე ტური
მგლები – ლოკომოტივი
ზესტაფონი – ტორპედო
მესხეთი – ოლიმპი
ვიტ ჯორჯია – სიონი
ამერი – ბორჯომი
ბათუმი – მერანი
დინამო – ?

### მეცხრამეტე ტური
დინამო – მგლები
? – ბათუმი
მერანი – ამერი
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია
სიონი – მესხეთი
ოლიმპი – ზესტაფონი
ტორპედო – ლოკომოტივი

### მეოცე ტური
მგლები – ტორპედო
ლოკომოტივი – ოლიმპი
ზესტაფონი – სიონი
მესხეთი – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – მერანი
ამერი – ?
ბათუმი – დინამო

### ოცდამეერთე ტური
ბათუმი – მგლები
დინამო – ამერი
? – ვიტ ჯორჯია
მერანი – მესხეთი
ბორჯომი – ზესტაფონი
სიონი – ლოკომოტივი
ოლიმპი – ტორპედო

### ოცდამეორე ტური
მგლები – ოლიმპი
ტორპედო – სიონი
ლოკომოტივი – ბორჯომი
ზესტაფონი – მერანი
მესხეთი – ?
ვიტ ჯორჯია – დინამო
ამერი – ბათუმი

### ოცდამესამე ტური
ამერი – მგლები
ბათუმი – ვიტ ჯორჯია
დინამო – მესხეთი
? – ზესტაფონი
მერანი – ლოკომოტივი
ბორჯომი – ტორპედო
სიონი – ოლიმპი

### ოცდამეოთხე ტური
მგლები – სიონი
ოლიმპი – ბორჯომი
ტორპედო – მერანი
ლოკომოტივი – ?
ზესტაფონი – დინამო
მესხეთი – ბათუმი
ვიტ ჯორჯია – ამერი

### ოცდამეხუთე ტური
ვიტ ჯორჯია – მგლები
ამერი – მესხეთი
ბათუმი – ზესტაფონი
დინამო – ლოკომოტივი
? – ტორპედო
მერანი – ოლიმპი
ბორჯომი – სიონი

### ოცდამეექვსე ტური
მგლები – ბორჯომი
სიონი – მერანი
ოლიმპი – ?
ტორპედო – დინამო
ლოკომოტივი – ბათუმი
ზესტაფონი – ამერი
მესხეთი – ვიტ ჯორჯია

# გაბრიელი თუ არა, მაშინ კახა...

## ბარსელონა მილანში კალაძეს მოიკითხავს


გახდება კახა კალაძე სამუელ ეტოოს თანაგუნდელი?

**საქართველოს** ნაკრების კაპიტანმა კახა კალაძემ რამდენიმე თვის წინ იტალიურ „მილანთან" კონტრაქტი 2011 წლამდე კი გააგრძელა, მაგრამ მის შესაძლო ტრანსფერზე ლაპარაკი მაინც არ მთავრდება.

აგერ, კიდევ ერთი ახალი ამბავი, რომელიც პოპულარულ ესპანურ გამოცემა „მარკაში" გამოქვეყნდა. ჩვენი ესპანელი კოლეგების ცნობით, „ბარსელონამ" „სარაგოსას" არგენტინელი მცველი გაბრიელ მილიტო თუ ვერ გადაიბირა, მაშინ „მილანთან" კალაძის ყიდვის თაობაზე დაიწყებს მოლაპარაკებას.

„სარაგოსა" თავის მცველს თურმე ძალიან ძვირად აფასებს და „ბარსელონაც" მილიტოს შეძენისგან თავს ამიტომ იკავებს. ხოლო კალაძის თაობაზე, „მარკას" თუ ვერწმუნებით, „ბარსელონას" სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი „მილანთან" მოლაპარაკებების დაწყებას ამ კვირაშივე აპირებს და იტალიელებისთვის კონკრეტული წინადადებაც გამზადებული აქვს.

ვნახოთ, როგორ დამთავრდება ეს ამბავი. კახა კალაძე ჯერჯერობით შვებულებაშია და „მილანთან" ერთად ვარჯიშს ერთ კვირაში შეუდგება.

თუ გახსოვთ, ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ ჩვენიანმა მცველმა უთამაშებლობის გამო უკმაყოფილება ვერ დამალა და თქვა, მომავალ სეზონში სათადარიგოობას ვეღარ შევეგუები და „მილანიდან" წავალო, მაგრამ მოგვიანებით კლუბის ხელმძღვანელობას შეხვდა და განაცხადა, პრობლემები მოგვარებულია, „მილანიდან" არსად მივდივარო. ამ ამბების გათვალისწინებით კი, ნაკლებად სავარაუდოა, იტალიელებმა ქართველი მცველი სხვას დაუთმონ, თუნდაც „ბარსელონას"– „მილანს" დაცვაში პრობლემები ისედაც არ აკლია...

**კობა ინასარიძე**

# იმედაშვილი ახალ პლანეტაზე

## სატურნმა მეორე ქართველი წაიყვანა



**კიევის** „დინამოშ" ქართველი ფეხბურთელები ტრანსფერზე რომ დააყენა, გეცოდინებათ. ჯერჯერობით მხოლოდ კახა ალადაშვილის ბედია გაურკვეველი, ოთარ მარცვალაძე კიევის „არსენალში" გადავიდა, გუშინწინ კი დავით იმედაშვილი გოგიტა გოგუას თანაგუნდელი გახდა.

რამენსკოეს „სატურნი" ჩემპიონატში მცირე შესვენების გამო შეკრებაზე ავსტრიაში წავიდა და, როგორც ჩანს, ტრანსფერებზეც სერიოზულად მუშაობს — ახლახან ხომ „სატურნმა" ერთ-ერთი გამორჩეული რუსი ფეხბურთელი, დმიტრი ლოსკოვი შეიძინა.

დავით იმედაშვილმა რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა რამენსკოულ გუნდში და, როგორც რუსულ-უკრაინული სააგენტოები იტყობინებიან, უკვე კონტრაქტიც გააფორმა.

აქვე კიდევ ერთ დინამოელზე, ალექსანდრე ამისულაშვილზეც ვთქვათ: ამისულაშვილი ერთადერთი ქართველია უკრაინულ გუნდში, რომელიც ტრანსფერზე არ დაუყენებიათ. თუმც ის ნალჩიკის „სპარტაკშია" განათხოვრებული და ყაბარდოულ კლუბს მისი დატოვება სურს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ასტანა იგებს და ფხიზლდება

**რუსთავის** „ოლიმპის" საჩემპიონთალიგო მეტოქეს, ყაზახურ „ასტანას" ერთ-ერთი ლიდერი მურატ სუიუმაგამბეტოვი დაემტვა, მან ვარჯიშზე დაიშავა ფეხი და ახლა თაბაშირით დადის, თუმც იმედი აქვს, რომ „ოლიმპთან" მატჩამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებს.

„ჯერ ნუ ჩამომწერთ. ექიმებს თუ დავუჯერებთ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩისთვის მზად უნდა ვიყო. და კიდევ, არ დაგავიწყდეთ, „ასტანა" კუშტანაიში ითამაშებს, ეს ქალაქი კი ჩემთვის უცხო არ არის" — თქვა სუიუმაგამბეტოვმა.

გეცოდინებათ, „ასტანას" ახალი მწვრთნელი ჰყავს — რუსი ალექსანდრ ირხინი, რომელმაც თქვა, პოტენციალის მიხედვით, გუნდი ყაზახეთის ჩემპიონატში გაცილებით მაღლა უნდა იდგესო.

„გუნდის ფუნქციონალური მდგომარეობა არაოპტიმალურია. „ასტანა" ან გადაღლილია, ან პირველ წრეში მოსამზადებელი შეკრების უქონლობამ იქონია გავლენა. როგორც ყველა მწვრთნელს, მეც ჩემი შეხედულება მაქვს ფეხბურთზე და „ასტანას" თამაშში რაღაც-რაღაცებს შევცვლი" — ამბობს ირხინი.

ამასობაში, „ასტანა" გულშემატკივრებს კუშტანაიში ეპატიჟება 24 ივლისის მატჩზე — „ოლიმპს" სავსე სტადიონი უნდა დავახვედროთო.

გუშინ კი „ასტანამ" ყაზახეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში მეორეადგილოსანი ყარაგანდის „შახტიორი" 3:0 დასცა.

ასტანელები უკვე 30-ე წუთზე იგებდნენ სამი ბურთით, გოლები კი კუანიშ აბდულაევმა (4), ალექსანდრ სუჩკოვმა (12) და ემილ კენჟისარიევმა (30) შეაგდეს. ისიც ვქთვათ, რომ „შახტიორს", სადაც ლევან მელქაძე და გიორგი გაბიდაური ირიცხებიან, მე-5 წუთზევე გაუძევეს ფეხბურთელი.

**ილია ნანობაშვილი**

# კობიმ შალკეში დაიწყო

**ლევან კობიაშვილმა** პირველი ტესტ-მატჩი ჩაატარა „შალკეში" — მისმა გუნდმა 3:1 მოუგო გერმანიის ერთ-ერთ ქვედალიგელ „აშაფენბურგს", კობი კი შესვენების შემდეგ ფაბიან ერნსტის ნაცვლად შევიდა მოედანზე და მარცხენა საყრდენ ნახევარმცველად ითამაშა.

ჯერ ძნელია თქვა, დაიბრუნებს თუ არა ლევანი „შალკეს" ძირითადში ადგილს, მაგრამ რომ გაუჭირდება, ეს კი ფაქტია — გუნდში საკმაოდ დიდი კონკურენციაა.

**ილია ნანობაშვილი**

# გამეზარდაშვილის გოლი

**პირველი** ლატვიური გოლი გაიტანა დავით გამეზარდაშვილმა. ლატვიის ჩემპიონატის მორიგ ტურში რიგის „სკონტომ" „ოლიმპს" უმასპინძლა და 3:0 მოუგო.

ამ მოგებით სკონტოელებმა მესამე ადგილზე აინაცვლეს და ჩემპიონობისთვის ბრძოლას აგრძელებენ.

გამეზარდაშვილის გარდა სასტარტოში იყო ზაალ ელიავაც, რომელსაც ბოლო დროს იშვიათად უწევდა თამაში, თუმც მწვრთნელმა ძირითადში დააბრუნა.

გამეზარდაშვილმა მატჩის დასრულებამდე სამი წუთით ადრე გამოიჩინა თავი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# რა? სად? რომელ გუნდში?

## ვასილ გიგიაძე ახტირსკის ნეფტიანიკშია


ვასილ გიგიაძეს (№18) ახალ გუნდში პირველი გოლის გატანამდე ცოტაღა დაჰკლდა

**ჯერჯერობით** უცნობია, რა და როგორ იქნება, მაგრამ ფაქტია, კრივოი როგის „კრივბასის" ქართველმა კაპიტანმა ვასილ გიგიაძემ შაბათს უკრაინის უმაღლეს ლიგაში ახალგადასული ახტირსკის „ნეფტიანიკის" მაისურა მოირგო და დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" წინაალმდეგ ითამაშა.

ტესტ-მატჩში ჯაბა კანკავას „დნიპრომ" 1:0 იმარჯვა, გიგიაძე კი ორჯერ მატჩის მიმოხილვაში არის ნახსენები: ერთი, როდესაც თანაგუნდელი მეკარეს პირისპირ შეატოვა, მეორედ კი თავური დაარტყა და „დნიპროს" მეკარემ მოიგერია.

ვითომ ასე იოლად შეელევა „კრივბასი" გიგიაძეს?

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ინტერტოტო ქართულად

**ინტერტოტოს** თასის გათამაშების მეორე ეტაპზე სამი ისეთი გუნდი თამაშობს, რომლებშიც ქართველები არიან, მათგან ორს კი მომდევნო ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვს.

ერთადერთი, რომელიც ამ ეტაპის დაძლევას ვერ შეძლებს, ალბათ ლადო ახალაიას „დაჩია" იქნება. მოლდოველებმა პირველი მატჩი შინ 0:1 დათმეს „სენტ გალენთან" და ალბათ შვეიცარიაში ძალიან გაუჭირდებათ. ახალაიას ამ მატჩში არ უთამაშია.

სათადარიგოთა სკამზე დარჩა ოდესის „ჩერნომორეცში" ეულად დარჩენილი ერთადერთი ქართველი კახა მჟავანაძე. „მეზღვაურებმა" კი შინ 4:2 მოუგეს ბელარუსის სოლიგორსკის „შახტიორს" და მესამე ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვთ.

ყველაზე მშვიდად კი ყაზანის „რუბინია". ნუკრი რევიშვილისა და ლაშა სალუქვაძის გუნდმა სტუმრად 3:0 მოუგო უნგრულ „ზალაეგერსეგს". სალუქვაძემ 90 წუთი ითამაშა, რევიშვილი კი ტრავმის გამო გუნდს უნგრეთში არც გაჰყოლია.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

კოპა ამერიკის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

## კოპა ამერიკა 2007
ვენესუელა. 26 ივნისი–15 ივლისი

# ურუგვაიმ გოლები გამოაჩინა

**მეოთხედფინალი**

**ვენესუელა 1:4 ურუგვაი**

0:1 ფორლანი (39), 1:1 არანგო (41), 1:2 პაბლო გარსია (65), 1:3 კ. როდრიგესი (87), 1:4 ფორლანი (90)
**ვენესუელა:** რ. ვეგა, ე. გონსალესი, ხ. რეი, ჩიკე-რო, ხ. როხასი, ლ. ვერა, მეა ვიტალი (გუერა 76), რ. პაესი, არანგო, მალდონადო (ს. გონსალესი 71), დე ორნელასი (არისმენდი 46)
**მწვრთნელი:** რიჩარდ პაესი
**ურუგვაი:** კარინი, ლუგანო, სკოტი, დ. როდრი-გესი (გოდინი 89), მ. პერეირა, პაბლო გარსია, დ. პერესი, კ. როდრიგესი, ფუსილე, ფორლანი, რეკობა (ი. გონსალესი 79)
**მწვრთნელი:** ოსკარ ტაბარესი
**გაფრთხილება:** გარსია, ფორლანი, ი. გონსალესი
**მსაჯი:** კარლოს ჩანდია (ჩილე)
40 000 მაყურებელი

**ჯგუფის** სამ მატჩში მხოლოდ ერთი გოლის გამტანმა ურუგვაიმ მეოთხედფინალში გაილაღა — მასპინძლებს ოთხი გაუტანა და ტურნირი დაასრულებინა. ვენესუელასთვის აქამდე მისვლაც ისტორიული ამბავი იყო, თუმც ნახევარმცველმა რიკარდო პაესმა თქვა: „ჩვენი ქვეყნის ღირსებას ვიცავთ და უკეთ თამაში გვმართებდა. ძალიან გულდაწყვეტილი ვარ ასეთი მარცხით“.

მამისმა, მწვრთნელმა რიჩარდ პაესმა კი განაცხადა: „დღეს ურუგვაიმ გვაჩვენა, რომ მაღალი კლასის გუნდია. ბიჭებს ფსიქოლოგიურადაც გაუჭირდათ, რადგან მათგან ნახევარფინალში გასვლას ითხოვდნენ, არადა, მეოთხედფინალში თამაშიც ჩვენთვის უკვე მიღწევაა“.

დიეგო ფორლანმა, ვისაც ჯგუფურ ეტაპზე სახეირო არაფერი გაუკეთებია, ანგარიში პირველი ტაიმის მიწურულს გახსნა. მაქსიმილიანო პერეირამ ცენტრიდან მიაწოდა პასი, ფორლანმა მცველებს გაასწრო, მეკარესთან აღმოჩნდა და 1:0. ეს მისი მე-13 გოლი იყო 39 სანაკრებო მატჩში.

ურუგვაელთა სიხარული ხანმოკლე გამოდგა, რაკი სამ წუთში მასპინძლებმა გაათანაბრეს: ხუან არანგომ საჯარიმო დარტყმა ეშმაკურად შეასრულა, რაშიც არასწორად დაყენებული კედელიც დაეხმარა, გარედან შემოატარა ბურთი და ფაბიან კარინიმ მას მხოლოდ ბადეშილა შეავლო თვალი.

მეორე ტაიმის ოცი წუთის განმავლობაში მეტოქეები ფრთხილობდნენ და მატჩი დამატებითი დროისკენ მიექანებოდა, მაგრამ პაბლო გარსიამ საჯარიმოს ხაზიდან ცხრიანში გაიტანა. მან ხორხე ფუსილესგან ქუსლით მიიღო პასი და ფეხი, როგორც ყვანჯი, რბილად მისცხო ბურთს, რომელიც ზედა კუთხეში შევარდა.

რიჩარდ პაესმა თამაშის გადარჩენა ორი შეცვლით სცადა, მაგრამ ორჯერ გამოიჭირეს მისი გუნდი კონტრშეტევაზე და — ჯერ კრისტიან როდრიგესმა გაუტანა რენი ვეგას ახლო კუთხეში, ხოლო ბოლო წუთზე ფორლანმა დაამატა მეკარის მოგერიებულს.

„გავრისკეთ და გაგვიმართლა. შედეგი კი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ უკეთესი გუნდი ვართ“ — განაცხადა ურუგვაელთა მწვრთნელმა ოსკარ ტაბარესმა.

**ვაჟა ხუციშვილი**



ურუგვაიმ ვენესუელას ცელი გამოსტაცა

AFP

# რა დალიეს ჩილელებმა?
## ექვსი გოლი ნაბახუსევზე ლუდის მაგივრად



AFP

ჟულიო ბაპტისტა, ვაგნერ ლავი და რობინიო

**ბრაზილია 6:1 ჩილე**

1:0 ჟუანი (17), 2:0 ჟულიო ბაპტისტა (23), 3:0, 4:0 რობინიო (28, 50), 5:0 ჟოსუე (69), 5:1 სუაზო (76), 6:1 ვაგნერ ლავი (85)
**ბრაზილია:** დონი, მაიკონი (ელანო 71), ალექსი, ჟუანი (ნალდო 73), ჟილბერტო, მინეირო, ჟილბერტო სილვა, ჟოსუე, ჟულიო ბაპტისტა, რობინიო (აფონსო ალვეში 65), ვაგნერ ლავი
**მწვრთნელი:** კარლოს დუნგა
**ჩილე:** კ. ბრავო, ორმენიო, პ. კონტრერასი, ფუენტესი, ხარა (კაბიონი 56), ფიერო (ვალდივია 46), სანუეზა, იტურა, მ. გონსალესი (მ. ფერნანდესი 66), უ. სუაზო, ლორკა
**მწვრთნელი:** ნელსონ აკოსტა
**გაფრთხილება:** იტურა, ჟუანი, სანუეზა, ორმენიო, ჟილბერტო სილვა
**მსაჯი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)
25 000 მაყურებელი

**ნელსონ აკოსტას** შეგირდები ბრაზილიასთან მატჩში ნაქეიფრებს ჰგავდნენ.

ჩილური მედია თამაშამდე ამტკიცებდა, რომ ხუთშაბათს, მექსიკასთან 0:0-ისა და მეოთხედფინალში გასვლის მერე, ზოგიერთ ფეხბურთელს სასტუმროში ჭიქა არ გაუგდია ხელიდან, ნიჭიერად გამოთრენენ და რაღაც-რაღაცებიც დაამტვრიესო.

ნელსონ აკოსტამ თქვა, ისეთი არაფერი მომხდარა, მედიის გაბუქებული ამბავიაო: „სასტუმროს შეფებმა მითხრეს, რომ ჩვენი ფეხბურთელები ცუდად იქცეოდნენ, მაგრამ მოთამაშეებისგან სულ სხვა ვერსია მოვისმინე. ვარჯიშზე ვესაუბრე და ყველაფერი უარყვეს, ალბათ რაღაც შეეშალათ, თუმც კატასტროფული არაფერი მომხდარა. ზოგიერთი მოწმე ამბობს, რომ ფეხბურთელები ხმამაღლობდნენ. სასტუმროს დირექტორს ვთხოვე, თუ რამე აქვთ კამერებით ჩაწერილი, მომცენ და გამოვიძახებთ-მეთქი“.

შარშან, როცა ჩილე დუბლინში ირლანდიასთან ამხანაგური მატჩისთვის ჩავიდა, მარკ გონსალესი და რეინალდო ნავია უდისციპლინობის გამო სახლში დააბრუნეს.

მოკლედ, სასტუმროში რაღაც მოხდა, მაგრამ იმაზე უარესი ალბათ არ იქნება, რაც ჩილეს ბრაზილიასთან დაემართა.

დაცვითი ფეხბურთისთვის ნაკრიტიკებმა დუნგას გუნდმა ნახევარ საათში გაუმეორა ჩილეს ის ანგარიში (3:0), რომლითაც ჯგუფში დაამარცხა. ბოლო ოთხ მატჩში ბრაზილიამ მეოთხედ დაჩოქა მეზობელი ქვეყნის გუნდი, ანგარიშები კი ასეთია — 5:0, 4:0, 3:0 და ახლა უკვე 6:1.

დუბლი შეასრულა რობინიომ, რომელსაც ტურნირზე ექვსი გოლი მოუგროვდა და ბომბარდირებში პირველია.

ანგარიში ჟუანმა გახსნა — კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს შორ ძელთან დაუხვდა და ხუთიოდ მეტრიდან გაიტანა. მერე საჯარიმოში შესულმა ჟულიო ბაპტისტამ მარცხნიდან იმავ კუთხეში შეაგდო, რომელშიც ჟუანმა. ამას რობინიოს გოლი მოჰყვა და კვლავ კლაუდიო ბრავოსგან მარცხენა დაბალში.

აკოსტამ სამეორეტაიმოდ ორი ფეხბურთელი შეცვალა, მაგრამ ამანაც ვერ უშველა. რობინიომ ჟილბერტოს პასით სხვაობა ოთხამდე გაზარდა — კარის ხაზზე დაუხვდა ბურთს, შემდეგ კი ისევ ჟილბერტოს ჩაწოდებულზე ჟოსუემ იხეირა.

ჩილელებმა თავი მაინც დაამახსოვრეს ქომაგებს, რადგან უმბერტო სუაზომ კოხტა გოლი გაიტანა — ბურთი თავზე გადაავლო კარიდან გამოსულ ალეშანდრო დონის. ბრაზილიელთა მეექვსე გოლი კი ლამაზი კომბინაციის შედეგი იყო, კარგა ხანს უწკაპუნეს ბურთს მეტოქის საჯარიმოსთან და ელანოს პასით ვაგნერ ლავმა ტურნირზე პირველი გოლი მიითვალა.

**ვაჟა ხუციშვილი**

**მექსიკა — პარაგვაი**
*წუხელ გვიან დამთავრდა*
**არგენტინა — პერუ**
*წუხელ გვიან დამთავრდა*

ლეგენდარულ მწვრთნელ გი რუს საფრანგეთში, და არა მარტო საფრანგეთში იმხელა სახელი აქვს, რომ ახლახან, როცა 68 წლის სპეციალისტს განუცხადეს, „ლანსის" მწვრთნელობის უფლება არ გაქვს, რადგან საფრანგეთში 65 წელს ზემოთ მწვრთნელობა აკრძალულიაო, ამან ყველა აღაშფოთა და მთელ ქვეყანაში დებატები გაჩაღდა...
ამ თემას უეფას ოფიციალური ვებგვერდიც გამოეხმაურა...


AFP

# წარმატებების რუ
## ნუ შეგაშინებთ ჩემი ასაკი

### პრეზიდენტის მხარდაჭერა

გამოცდილი და ტიტულიანი ტაქტიკოსის ქარიზმა იმხელაა, რომ მას მხარი საფრანგეთის ახალგამომცხვარმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმაც კი დაუჭირა — გი რუს მწვრთნელობის უფლება უნდა მივცეთ, მერე რა, რომ 68 წლის არისო.

თავად რუს სულაც არ აღელვებს ლიცენზიის ამბავი და დიდი მონდომებით ავარჯიშებს თავის ახალ გუნდს. „ლანსიც" იმედიანადაა, კლუბი ახლა საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებას ელის. ასე რომ, ამ საკითხზე დისკუსია კიდევ რამდენიმე კვირა გარდაუვალია...

### სიურპრიზი საკუთარი თავისთვის

გი რუს, რომელიც „ოსერს" 44 წელი წვრთნიდა, დაბრუნებას არავინ ელოდა და ბევრმა სკეპტიკურად შეხედა იმ ფაქტს, რომ ასაკოვანი სპეციალისტი „ლანსის" თავკაცობას დათანხმდა. მას ხომ ბოლო ორი წელი არანაირი პრაქტიკა აღარ ჰქონია. თუმცა რუს ეს საქმიანობა სისხლში აქვს გამჯდარი, ამით ცხოვრობს და მის გარეშე არ შეუძლია.

„ხალხი გაოცებული იყო ჩემი დაბრუნებით, თუმცა რა გასაკვირია, ეს პირადად ჩემთვისაც სიურპრიზი გახლდათ. დარწმუნებული ვიყავი, რომ მწვრთნელობას აღარ დავუბრუნდებოდი. თუმცა ზაფხულის დასაწყისში, როცა „ლანსის" წინადადება მივიღე, მივხვდი, რომ დაბრუნება და კარიერის გაგრძელება მინდოდა. ყველაფერი უცბად მოხდა. ზოგიერთი, როცა ასაკში შედის და კრიზისი ეწყება, ახალგაზრდა გოგონების დევნას იწყებს. მე კი მეორე ახალგაზრდობას ფეხბურთში განვიცდი" — განუცხადა რუმ uefa.com-ს.

### ოსერი

რუმ მწვრთნელობა 1961 წელს დაიწყო, როცა 23 წლის ასაკში „ოსერის" მოთამაშე-მწვრთნელობას დათანხმდა. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მიაღწია კლუბმა წარმატებას და სამოყვარულო დონიდან ჩემპიონთა ლიგამდე მივიდა.

2005 წელს რუს „ოსერმა" მეოთხედ მოიგო საფრანგეთის თასი და მან კარიერის დასრულება გადაწყვიტა. მომდევნო ორი წლის მანძილზე იგი „ოსერში" ახალგაზრდა ფეხბურთელებთან მუშაობდა და პარალელურად, ერთ-ერთ ტელეარხზე კომენტატორობდა.

გი რუ: „დიდი სიამოვნება მივიღე ახალგაზრდებთან მუშაობითაც და კომენტატორობითაც. თუმცა ვგრძნობდი, რომ ზედმეტად ჩრდილში აღმოვჩნდი და მწვრთნელობა მომენატრა. „ოსერი" უნდა განვითარდეს და წინ იაროს, რასაც კლუბი ჩემს გარეშე ბევრად უკეთ შეძლებს. მე კი თავშესაფარი სხვა გუნდში ვიპოვე".

### რისკი

რუს კარგად ესმის, რომ „ლანსის" მწვრთნელობაზე დათანხმებით დიდ რისკზე წავიდა. ამიერიდან, იგი აღარ ჩაითვლება ერთი გუნდის კაცად, რომელიც ბურგუნდიაში პატარა სასწაულებს ახდენდა. ამავე დროს, მას შეელახება დიდი ტაქტიკოსის რეპუტაციაც, თუ „ლანსში" საქმეები კარგად არ აეწყობა.

„ეს ნამდვილად დიდი გამოცდა და გამოწვევაა — ამბობს რუ — რა თქმა უნდა, წარუმატებლობის მეშინია, თუმცა ჯერჯერობით ყველაფერი ბრწყინვალედ მიდის. ქომაგები ფანტასტიკურად შემხვდნენ, ფეხბურთელები კი პატივისცემით მეპყრობიან. მათ სწორად შეაფასეს ის ფაქტი, რომ მათგან მაქსიმუმს, ბოლომდე დახარჯვას ვითხოვ. მჯერა, ერთად ჩვენ კიდევ ბევრ წარმატებულ ფურცელს დავწერთ „ლანსის" ისტორიაში".

### ოსერიდან ლანსამდე

„ოსერში" რუ აბსოლუტურად ყველა და ყველაფერი იყო. „ლანსში" კი მას მხოლოდ მწვრთნელობა შეეხება. იგი ამბობს, რომ ამავე დროს ძალიან დიდ ყურადღებას მიაქცევს ახალგაზრდების განვითარებას.

„მე რომ სამწვრთნელო კარიერა დავიწყე, მაშინ ფეხბურთი სულ სხვანაირი იყო. ჩვენ საერთოდ არ გვყავდა ფიზმომზადების ან მეკარეების მწვრთნელები და ასე შემდეგ. ყველაფერს მე ვაკეთებდი. „ლანსში" მაღალკვალიფიციური პროფესიონალების გუნდი დამხვდა და მიხარია, რომ მათზე დაყრდნობა შემიძლია. რაც შეეხება ახალგაზრდებს, მათ დიდ ყურადღებას მივაქცევ. სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდი ჯერ არ დაუწყიათ, მაგრამ მალე ჩამოვლენ. საუკეთესონი კი უკვე პირველ გუნდთან ერთად ვარჯიშობენ" — თქვა რუმ.

### ევროტურნირები

წინა სეზონში „ლანსმა" მხოლოდ ბოლო ტურში, დასანანად დაკარგა ჩემპიონთა ლიგის საგზური. მეტიც, ლანსელებს საბოლოოდ ოდენ ინტერტოტოს თასის საგზური შერჩათ ხელში. გი რუს ევროტურნირი არასოდეს მოუგია და ეს მის აუხდენელ ოცნებად რჩება, მაგრამ რეალობის შეგრძნებასა და პრაგმატიზმს არ კარგავს, გუნდსა და მის ფანებსაც განუცხადა — პროგრამა-მინიმუმით დავიწყოთ, ზედმეტის მოლოდინი ნუ გვექნებაო...

„ჩვენ არც „ბაიერნი" ვართ და არც „მილანი". შევეცდებით, რაც შეიძლება, ჩქარა მოვაგროვოთ 42 ქულა და უმაღლეს ლიგაში დარჩენა გავინაღდოთ. როგორც კი ამ მიზანს მივაღწევთ, დანარჩენზე მერე ვიფიქროთ. რაც შეეხება ინტერტოტოს თასს, ეს ძალიან დაგვეხმარება მომავალი სეზონისთვის მოსამზადებლად. თან ამ ტურნირს სრული სერიოზულობით მოვეკიდებით, რადგან უეფას თასზე მოხვედრა გვინდა. არ დაგავიწყდეთ, ევროტურნირზე ტრიუმფი ჩემს ოცნებად რჩება" — დასძინა რუმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

## ინტერტოტოს თასი 2007

მეორე ეტაპი. პირველი მატჩები

**ტობოლი** (ყაზახეთი) 1:1 **ლიბერეცი** (ჩეხეთი)
**მარიბორი** (სლოვენია) 2:0 **ჰაიდუკი** (სერბეთი)
**ფკ მაკედონია** (მაკედონია) 0:4 **ჩერნო მორე** (ბულგარეთი)
**ჩერნომორეცი** (უკრაინა) 4:2 **შახტიორი** (ბელარუსი)
**დაჩია** (რუმინეთი) 0:1 **სენტ გალენი** (შვეიცარია)
**მაკაბი** (ჰაიფა, ისრაელი) 0:2 **გლორია** (რუმინეთი)
**გენტი** (ბელგია) 2:0 **კლიფტონვილი** (ჩრდ. ირლანდია)
**რაპიდი** (ავსტრია) 3:1 **სლოვანი** (სლოვაკეთი)
**ზალაეგერსეგი** (უნგრეთი) 0:3 **რუბინი** (რუსეთი)
**სლავია** (ბოსნია) 0:0 **ოცელული** (რუმინეთი)
**კორკ სიტი** (ირლანდია) 1:1 **ჰამარბი** (შვედეთი)
**ჰონკა** (ფინეთი) 2:2 **ოლბორგი** (დანია)
**ტრაბზონსპორი** (თურქეთი) 6:0 **ვლაზნია** (ალბანეთი)
**ვეტრა** (ლიტვა) — **ლეგია** (პოლონეთი) *2:0-ზე შეწყდა*

## ანგელოსის ბუნდესლიგაში

**ბერძენი** ფორვარდი ანგელოს ხარისტიასი „ფეიენოორდიდან" „ნიურნბერგში" გადავიდა და ორწელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. მის სანაცვლოდ კი 2 მილიონ 500 ათასი ევრო გადაიხადეს.

27 წლის ფეხბურთელმა წინა სეზონი „ფეიენოორდში" გაატარა და 9 გოლი გაიტანა. მას „ვერდერში" და „აიაქსშიც" უთამაშია.

„ნიურნბერგი" ბუნდესლიგაში მეექვსე ადგილზე გავიდა, გერმანიის თასი მოიგო და უეფას თასზე ითამაშებს.

## კარში კეროლი, დაცვაში კუელიარი

„**ოსასუნას**" ესპანელი მცველი კარლოს კუელიარი „რეინჯერსმა" იყიდა. 25 წლის ფეხბურთელი გლაზგოელებს 2 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.

ეს გუნდები ერთმანეთს შარშან, უეფას თასზე შეხვდნენ და რეინჯერსელებს კუელიარი მოსწონებიათ.

გარდა ამისა, „ჩაფრებმა" ჩრდილოირლანდიელი მეკარე როი კეროლი გადაიბირეს მას შემდეგ, რაც იგი „ვესტ ჰემმა" გაათავისუფლა.

## გროსო დიტოს ნაკვალევზე

**ფაბიო გროსომ** „ლიონთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, 11-ნომრიანი მაისურით ითამაშებს და დაცვის მარცხენა ფლანგზე ერიკ აბიდალს შეცვლის, რომელიც „ბარსელონაში" გადავიდა. მსოფლიოს ჩემპიონი მცველის სანაცვლოდ „ინტერმა" 5 მილიონი გირვანქა მიიღო, ხოლო ფეხბურთელი წელიწადში მილიონ 400 ათასს ჩაიჯიბავს.

იგი მესამე იტალიელი იქნება „ლიონის" ისტორიაში. 50-იან წლებში იქ თამაშობდნენ ლორენცო დიტო და არიდექს კალიარისი.

„ლიონმა" გროსომდე ნადირ ბელჰადი („სედანი"), მეთიუ ბოდმერი და კადერ კეიტა (ორივე „ლილი") იყიდა.

## მარსელი: სისე, ზედაც ზენდენი

**ჯიბრილ სისე** და ბუდევინ ზენდენი „მარსელმა" „ლივერპულიდან" წაიყვანა.

ფრანგი ფორვარდი ინგლისელებმა შარშან ათხოვეს მარსელელებს, რომლებმაც ამ ზაფხულს მისი კონტრაქტის გამოსყიდვა მოინდომეს. „ლივერპულმა" სისეში 8 მილიონ 800 ათასი ევრო მიიღო, ხოლო ზენდენს კონტრაქტი დაუსრულდა და უფასოდ ერგო „მარსელს". ჰოლანდიელმა კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## ანტონიო ანტონიოში გაცვალეს

**30 წლის** ნახევარმცველი ანტონიო ლანჯელა „კალიარიდან" „ატალანტაში" გადავიდა. მარჩელო ლიპის მწვრთნელობისას მას ნაკრებშიც უთამაშია, „კალიარიში" კი 2002 წელს სერია C1-ის „სასარი ტორესიდან" მიიყვანეს. ტრავმების გამო წინა სეზონში მხოლოდ 16 მატჩი ითამაშა.

„კალიარიმ" კი ბერგამოელებს ანტონიო დაგოსტინო ათხოვა ერთი სეზონით.

## ინტერს ტაისონიდა აკლდა

„**ინტერი**" დაცვას აძლიერებს — „შავ-ლურჯებმა" „რივერ პლეიტიდან" 24 წლის ნელსონ რივასი იყიდეს, მეტსახელად „ტაისონი". ნელსონ ენრიკე რივას ლოპესი მილანში დღეს უნდა ჩავიდეს სამედიცინო შემოწმებაზე.

კოლუმბიელი მცველი ექვსი თვის წინ გადავიდა „რივერში" „დეპორტივო კალიდან" და უმალ დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

## ანდრადე ტიაგუს ტურინში დაეწია

„**დეპორტივოს**" პორტუგალიელი მცველი ჟორჟე ანდრადე მომავალ სეზონში „იუვენტუსში" ითამაშებს.

ლაკორუნიულმა კლუბმა დაადასტურა, რომ ტურინელებთან ტრანსფერზე მორიგდნენ. გარიგების ფასი არ გაამხილეს, თუმც იტალიური მედიის ვარაუდით, „ბებერმა ქალბატონმა" 7 მილიონი გირვანქა გაიმეტა.

„იუვეს" სჭირდებოდა ცენტრალური მცველი, რადგან „სარაგოსასთან" გაბრიელ მილიტოზე ვერ მორიგდა.

ანდრადე, რომელიც ამ დღეებში ჩავა ტურინში, „დეპორტივოში" 2002 წლიდანაა, მანამდე კი ორი სეზონი „პორტუში" გაატარა, ხოლო კარიერა „ამადორაში" დაიწყო. ნაკრებში 40-ზე მეტი მატჩი უთამაშია. იგი მეორე პორტუგალიელი იქნება „იუვეში", სადაც ამ ზაფხულს ტიაგუ მენდეში მივიდა „ლიონიდან".

## სამგოლიანი სარაგოსაში

„**მილანის**" ბრაზილიელი ფორვარდი რიკარდო ოლივეირა, რომელმაც ვერ გაამართლა სერია A-ში, დღეს „სარაგოსაში" გადავა.

ესპანური მედიის ცნობით, სარაგოსელები ფეხბურთელს ერთი სეზონით ითხოვებენ. „შავ-წითლები" ქირად მილიონ 400 ათას გირვანქას მიიღებენ, ხოლო ესპანელებს ოლივეირას ყიდვა თუ მოუნდებათ, ხუთჯერ მეტის გადახდა მოუწევთ.

„მილანმა" ფორვარდი შარშან სევილიური „ბეტისიდან" 15 მილიონად შეიძინა, მაგრამ ამ ფასისა მას არაფერი გაუკეთებია, მხოლოდ სამი გოლი გაიტანა — ერთი ჩემპიონატში, ორიც იტალიის თასზე.

**გაჟა ხუციშვილი**

## ირლანდია

**პრემიერლიგა. XVII ტური**

დერი — სლიგო 4:1; ლონგფორდი — შემროკი 0:3; დუბლინი — დროჰედა 0:1; უოტერფორდი — სენტ პატრიკსი 2:1. ბოჰემიანსი — ბრეი დღეს გაიმართება

## შვედეთი

**ალსვენსკა. XIII ტური**

იურგორდენი — მალმიო 1:0; იორებრო — ჰალმსტადი 0:3. გაის — ტრელებორგი, გეფლე — ბრომაპოიკარნა და აიკ — ელფსბორგი დღეს გაიმართება, გიოტებორგი — ჰელსინგბორგი ხვალ, კალმარი — ჰამარბი კი ზეგ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 13 | 7 | 3 | 3 | 19:13 | 24 |
| იურგორდენი | 13 | 7 | 2 | 4 | 18:11 | 23 |
| კალმარი | 12 | 7 | 1 | 4 | 19:12 | 22 |
| ელფსბორგი | 13 | 6 | 4 | 3 | 19:14 | 22 |
| მალმიო | 13 | 5 | 4 | 4 | 16:12 | 19 |
| ჰამარბი | 12 | 5 | 3 | 4 | 19:12 | 18 |
| გიოტებორგი | 12 | 5 | 2 | 5 | 19:17 | 17 |
| ჰელსინგბორგი | 12 | 5 | 2 | 5 | 19:17 | 17 |
| გეფლე | 12 | 4 | 4 | 4 | 12:13 | 16 |
| აიკ | 12 | 4 | 4 | 4 | 11:13 | 16 |
| გაის | 12 | 3 | 4 | 5 | 9:13 | 13 |
| იორებრო | 13 | 2 | 6 | 5 | 11:18 | 12 |
| ტრელებორგი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:25 | 11 |
| ბრომაპოიკარნა | 12 | 2 | 3 | 7 | 9:23 | 9 |

**სუპერეტა. XIV ტური**

სირიუსი — იონკოპინგი 2:1; სუნდსვალი — ლიუნგსკილე 3:0; ბანკეფლო — იორგრიტე 0:2; ლანდსკრონა — ატვიდაბერგი 4:2

## ფინეთი

**ვეიკაუსლიგა XIII ტური**

კტპ — ტურკუ 4:2; მიუპა — ტამპერე 4:1; ვაასა — ინტერი 0:0. ჰაკა — ჰიკ დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 13 | 9 | 2 | 2 | 20:14 | 29 |
| მიუპა | 13 | 6 | 4 | 3 | 17:10 | 22 |
| ტურკუ | 13 | 6 | 2 | 5 | 22:17 | 20 |
| ჰაკა | 11 | 6 | 2 | 3 | 13:10 | 20 |
| ჰონკა | 11 | 5 | 4 | 2 | 16:10 | 19 |
| ჰიკ | 12 | 3 | 7 | 2 | 13:13 | 16 |
| იარო | 11 | 4 | 3 | 4 | 16:14 | 15 |
| ლაჰტი | 11 | 4 | 2 | 5 | 15:14 | 14 |
| კტპ | 11 | 4 | 2 | 5 | 14:13 | 14 |
| ინტერი | 12 | 3 | 4 | 5 | 15:13 | 13 |
| ვაასა | 13 | 2 | 6 | 5 | 11:22 | 12 |
| ვიიკინგიტი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:15 | 11 |
| ოულუ | 11 | 2 | 3 | 6 | 9:19 | 9 |
| მარიეჰამნი | 11 | 1 | 5 | 5 | 6:13 | 8 |

## ამხანაგური მატჩები

**6 ივლისი**

მალავი — ნამიბია 1:2; კიკერსი — თუნი 1:3; ბრიუგე — ოსტენდე 3:0

**7 ივლისი**

იანგ ბოისი — სელტიკი 4:1; ნორდსიელანდი — სილკებორგი 2:1; ესბიერგი — მიდტიულანდი 2:0; რექსემი — ლივერპული 2:3; ვადუცი — ვილი 0:1; აარაუ — ციურიხი 2:1; კაიზერსლაუტერნი — კოპენჰაგენი 0:3; აუსტრია — ჰართსი 1:2; ბოხუმი — ჰაიდუკი 5:4; ტიროლი — სპარტაკი 0:2; ივერდონი — სერვეტი 1:3; ბორდო — მარსელი 2:3; მონაკო — ლოზანა 2:0; ქსამაქსი — შატორუ 1:4; სოშო — შახტარი 1:1; ვალანსიენი — ნანტი 0:0

**8 ივლისი**

ტრირი — კიოლნი 0:2; ზაქსენი — ჰანოვერი 0:3; ვაილე — რანდერსი 2:3; ბურგჰაუზენი — დინამო (ბუქარესტი) 0:3; მიუნსტერი — პადერბორნი 1:3; ლოზანა — ბოლმი 1:0; ლიტექსი — ბელხატუვი 1:0; ლილი — ლიონი 1:3; ვოლფსბურგი — მიუნხენი 5:1; ტურუა — ბრიუგე 1:0; შაფჰაუზენი — ფრაიბურგი 1:2; ნანსი — გრენობლი 1:0. მაინცი — ჰაიდუკი დღეს გაიმართება

## ბრაზილია

**სერია A. X ტური**

პარანა — ამერიკა 0:1; ატლ. მინეირო — გრემიო 0:1; კორინთიანსი — ფლუმინენსე 1:1; სანტოსი — კრუზეირო 4:1; ბოტაფოგო — ატლ. პარანენსე 2:0; გოიასი — სპორტ რესიფე 3:2; ინტერნასიონალი — ფიგეირენსე 2:1; ჟუვენტუდე — ვასკუ და გამა 2:0; ნაუტიკო — პალმეირასი 0:1; სან პაულუ — ფლამენგო 0:0

## აშშ

**MLS. XVII ტური**

კოლუმბუსი — სოლტ ლეიკი 2:0; ნიუ ინგლენდი — ჩივასი 1:1; ჩიკაგო — ტორონტო 1:1; ლოს ანჯელესი — კანზასი 2:2. კოლორადო — ნიუ იორკი და ჰიუსტონი — ვაშინგტონი წუხელ გვიან დამთავრდა

## იაპონია

**თასის მეოთხედფინალი პირველი მატჩები**

ურავა — გამბა 1:1; კოფუ — კავაზაკი 3:2; ჰიროშიმა — კაშიმა 1:0; იოკოჰამა — ტოკიო 0:1

## აზიის თასი 2007

**A ჯგუფი I ტური**

ტაილანდი 1:1 ერაყი
ავსტრალია 1:1 ომანი

**B ჯგუფი. I ტური**

ვიეტნამი 2:0 საამიროები
იაპონია — ყატარი
დღეს გაიმართება

## მსოფლიოს 2007 წლის U-20 ჩემპიონატი

**A ჯგუფი. III ტური**

კანადა — კონგო
გვიან დამთავრდა
ჩილე — ავსტრია
გვიან დამთავრდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩილე | 2 | 2 | 0 | 0 | 6:0 | 6 |
| ავსტრია | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| კონგო | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| კანადა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

**B ჯგუფი. III ტური**

ესპანეთი 4:2 იორდანია
ურუგვაი 0:2 ზამბია

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:5 | 7 |
| ზამბია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| იორდანია | 3 | 0 | 1 | 2 | 3:6 | 1 |

**C ჯგუფი. III ტური**

ახალი ზელანდია — მექსიკა
გვიან დამთავრდა
პორტუგალია — გამბია
გვიან დამთავრდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| გამბია | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ახალი ზელანდია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

**D ჯგუფი. III ტური**

ბრაზილია 1:2 აშშ
პოლონეთი 1:1 სამხ. კორეა

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | 3 | 2 | 1 | 0 | 9:3 | 7 |
| პოლონეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:7 | 4 |
| ბრაზილია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| სამხ. კორეა | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |

**E ჯგუფი. III ტური**

არგენტინა 1:0 ჩრდ. კორეა
ჩეხეთი 2:1 პანამა

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არგენტინა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:0 | 7 |
| ჩეხეთი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ჩრდ. კორეა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| პანამა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

**F ჯგუფი. III ტური**

იაპონია 0:0 ნიგერია
შოტლანდია 1:2 კოსტა რიკა

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ნიგერია | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| კოსტა რიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| შოტლანდია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

# ვესტ ჰემსა ვესტ ჰემისაო



კია ჯურაბჩიანი

**კარლოს ტევესი** იმედიანადაა: „ვესტ ჰემმა" წერილობით მისცა „მანჩესტერ იუნაიტედთან" მოლაპარაკების უფლება, ასე რომ, არგენტინელი თავდამსხმელი, შესაძლოა, სულ მალე აღმოჩნდეს ალექს ფერგიუსონის გუნდში.

არადა, „ვესტ ჰემის" ამ წერილის გარეშე, ტევეს-„მანჩესტერის" საქმიდან რა გამოვიდოდა, არავინ უწყის. შაბათს ინგლისის პრემიერლიგამ „იუნაიტედს" ოფიციალურად აუკრძალა ტევესთან მოლაპარაკება. შეგახსენებთ მიზეზს: კარლოს ტევესი იურიდიულად იმ კონსორციუმის საკუთრებაა, რომელსაც ბრაზილიელი ბიზნესმენი კია ჯურაბჩიანი ფლობს და თითქოს არგენტინელის შეძენის შესახებ „მანჩესტერ იუნაიტედს" სწორედ ამ კონსორციუმთან უნდა ელაპარაკა, მაგრამ პრემიერლიგის შეფებმა კატეგორიულად გამოაცხადეს, რომ ტევესის ჯერ კიდევ მოქმედი თუ უკვე ყოფილი გუნდის, „ვესტ ჰემის" ნებართვის და ინტერესის გათვალისწინების გარეშე, არანაირ გარიგებას არ დაუშვებდა.

აღსანიშნავია, რომ ტევესი და მისი წარმომადგენლები, ბუნებრივია, პრემიერლიგის შეფთა მრისხანების პარალელურად მაინც აგრძელებდნენ „მანჩესტერ იუნაიტედთან" მოლაპარაკებებს და როგორც ფორვარდის წარმომადგენელმა განაცხადა, პირადი საკითხები, ანუ ხელფასი, საბინაო პირობები და მრავალი სხვა, უკვე შეთანხმებულიც არის.

ტევესის მავანმა ახლობელმა, რომელიც, როგორც ჩანს, ჯურაბჩიანის კონსორციუმს წარმოადგენს, „სანის" ჟურნალისტებს განუცხადა:

„ტევესის „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლით „ვესტ ჰემმა", შესაძლოა, გარკვეული კომპენსაცია მართლა მიიღოს, მაგრამ საუბარი იმაზე, რომ ლონდონელები მილიონებს გამოჰკრავენ ხელს, სრულიად უსაფუძვლოა. კონსორციუმსა და „ვესტ ჰემს" შორის თავდაპირველი ხელშეკრულება ისეთი გახლდათ, რომ ლონდონის კლუბს ერთწლიანი იჯარის შემდეგ უფლება ეძლეოდა, 40 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ, ვარსკვლავი სამი წლით თავის საკუთრებად ექცია. კლუბმა ამ შესაძლებლობით არ ისარგებლა, ხოლო ვადა, რომლის განმავლობაშიც ნაბიჯი უნდა გადაედგა, გასულია".

**ბაკუნა ძიდია**

# რას იტყვის ფიფა?
## მსაჯმა ქალმა გაიხადა და დისკრიმინაციაზე ალაპარაკდა

**ძნელი** დასაჯერებელია, მაგრამ ბრაზილია შიშველმა ქალმა გადარია. 29 წლის მსაჯმა ანა პაულა დე ოლივეირამ იქაური „პლეიბოისთვის" მთლად შემოიძარცვა ტანზე და ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის რისხვაც დაიმსახურა — სავარაუდოდ, ეშხიან ანას ადგილობრივ ჩემპიონატში მსაჯობას აუკრძალავენ… შეიძლება, საქმე ფიფას სანქციამდეც მივიდეს, თუმც როგორც ანიტა ამბობს, მის „პლეიბოისთან" პოზირებას ფეხბურთთან არაფერი აქვს საერთო და თუ ფიფამ სანქციებს მიმართა, ეს დე ოლივეირას დისკრიმინაცია იქნება.

„არ ვიცი, როგორი იქნება „პლეიბოიზე" ფიფას რეაქცია, თუმცა, ალბათ არ უნდა დამაჯარიმონ, რადგანაც ამ შემთხვევაში დისკრიმინაციასთან გვექნება საქმე" — განუცხადა დე ოლივეირამ იქაურ მედიას.

ანამ მამაკაცთა ჟურნალში გამოჩენით ბლომად ფული აიღო, რომლითაც მისი ორი სანუკვარი ოცნებიდან ერთის განხორციელებას შეძლებს — დედისთვის სახლს იყიდის. მეორე ოცნება კი მუნდიალზე მსაჯობაა, თუმც ასე თუ ისე იცელქა…

**ლადო ხომერიძე**



## მილანის თვალი

ახალგაზრდა ფორვარდ ჯუზეპე როსის თვალი „მილანმა" დაადგა. იტალიის 21-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელი „მანჩესტერ იუნაიტედის" საკუთრებაა, თუმც გასული სეზონი იჯარით „პარმაში" გაატარა. პარმელებს მისი კონტრაქტის გამოსყიდვა სურთ და მანჩესტერელებს 6 მილიონი გირვანქაც შეაძლიეს, მაგრამ „მილანი" 11-ს იხდის.

როსის „პორტუც" ეპატიჟება.

## რადოსლავ ინტერელი

„ტუტომერკატო" გვამცნობს, დღეს „ინტერი" ნახევარმცველს შეიძენს და ის მოსკოვის „სპარტაკის" ჩეხი ლეგიონერი, რადოსლავ კოვაჩი იქნებაო. მილანელები ფეხბურთელში 7 მილიონ ევროს იხდიან, ტრანსფერის სხვა დეტალები კი ჯერჯერობით უცნობია.

## გრანტი მოსულა

„ჩელსის" ახალი სპორტული დირექტორი ჰყავს — 51 წლის ავრაამ გრანტი, ისრაელის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, რომელიც ბოლოს პრემიერლიგის „პორტსმუთში" მუშაობდა. ავრაამ გრანტი ამიერიდან „ჩელსის" „შიდასამზარეულოს" გააკონტროლებს.

## ხუანდეს რჩეულნი

**უეფას თასის** მფლობელი „სევილია" ახალი სეზონისთვის ორი ფეხბურთელით გაძლიერდა: აიაქსელმა ტომ დე მულმა და ჰერტელმა კევინ ბოატენგმა ანდალუზიურ კლუბთან 5-5 წლიანი კონტრაქტი გააფორმეს. „სევილიას" ორივეს ტრანსფერი 10 მილიონი ევრო დაუჯდა. დე მული და ბოატენგი ნახევარმცველები არიან, მწვრთნელ ხუანდე რამოსს კი ახალგაზრდები ჯერ კიდევ შარშანწინ შეუმჩნევია.

## ფაბრეგასი მოსწონთ

**მადრიდის** „რეალის" სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი ამბობს, არსენალელი სესკ ფაბრეგასი ძალიან მოგვწონს და უნდა გადავიყვანოთო. რამდენად გამოუვა ჩანაფიქრი მიატოვიჩს, ამას დრო გვიჩვენებს, თუმც, როგორც მან „მარკას" განუცხადა, ლონდონური კლუბის შეფობასთან მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

## ვა, კასაპა?!

**31 წლის** კლაუდიო კასაპა ბრაზილიელი მცველია და ერთხანს ფრანგული „ლიონის" უცვლელი კაპიტანიც გახლდათ. მაგრამ ახლა საქმე ისე წაუვიდა, რომ შესაძლოა, დღესვე გახდეს იტალიური „ჯენოას" ახალწვეული. ჟურნალი „ეკიპი" გვამცნობს, კასაპა უკვე გადასულიაო, მაგრამ იტალიური კლუბი გვიმტკიცებს, კონტრაქტი ორშაბათს გაფორმდებაო.

**გიორგი ვაშაკიძე**



# №1 მისტერ ვან
## რუუდ ვან ნისტელროი ისტორიაში შევიდა

**ჰოლანდიელი** რუუდ ვან ნისტელროი მსოფლიოში ერთადერთი ფეხბურთელია, რომელმაც სამი სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატში მთავარმეგოლის ტიტული მოიპოვა. ეს მან ჰოლანდიაში, ინგლისსა და ესპანეთში შეძლო.

მადრიდის „რეალის" ფორვარდის სიჩაუქე ფიფას უყურადღებოდ არ დაუტოვებია — მსოფლიო ფეხბურთის ფედერაციამ თავის ვებგვერდზე ვან ნისტელროის საგოლე ალღო შეუქო და გამოაცხადა, რომ რუუდმა ჯონ ჩარლზს, მარკო ვან ბასტენს, მარსიო ამოროზოს, რონალდოსა და კრისტიან ვიერის აჯობა. ამ ხუთმა ფეხბურთელმა მთავარმეგოლის ჯილდო ორი სხვადასხვა ქვეყნის ჩემპიონატში მოიგო. ჰოლანდიელმა კი მესამეც, ესპანური ლა ლიგის „პიჩიჩიც" გაახერხა, როცა პრიმერადივიზიონი 25 გატანილი გოლით დაასრულა.

„სამეფო გუნდის" მოიერიშემ კარიერა 1993 წელს ჰოლანდიურ მეორელიგოსან „დენ ბოსხში" დაიწყო. მისი საგოლე ნიჭი კი პსვ-ში აფეთქდა, როდესაც 1998-99-ის სეზონში ჰოლანდიის წლის ფეხბურთელად აღიარეს. მაშინ რუუდმა 31 გოლი შეაგდო და მთავარმეგოლეობა მოიპოვა, ისევე, როგორც მომდევნო სეზონში 29 გოლით.

ტრავმებმა ვან ნისტელროის საგოლე ალღო ვერ დაუჩლუნგეს. თავის პირველ ინგლისურ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში (2001-02) ნიდერლანდელმა 36 გოლი გაიტანა, მეორეში კი 39, რითაც ინგლისშიც მთავარმეგოლე გახდა.

„მისტერ ვანი" მადრიდის „რეალში" 2006 წელს მივიდა და დაამტკიცა, რომ ასაკის მიუხედავად, კვლავ გოლზე დაგეშილ მწევრად რჩება.

სხვათა შორის, „სამეფო გუნდის" ყოფილმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ ადრევე განაცხადა, თუ ვან ნისტელროი „პიჩიჩის" მოიგებდა, „რეალიც" ჩემპიონი გახდებოდა. იტალიელის წინასწარმეტყველება ახდა — რუუდმა 25 გოლი გაიტანა, მადრიდელებმა კი დიდი ხნის ნანატრი ჩემპიონობა იზეიმეს.

**ლადო ხომერიკი**

# ხალიდ ბულარუზს სევილია მიადგა
## ჩელსი ტრანსფერზე თანახმაა

„**სევილია**" ხალიდ ბულარუზის გადაბირებას ცდილობს. მას შემდეგ, რაც „ფიორენტინამ" ჩეხი ტომაშ უიფალუშის გაყიდვაზე უარი თქვა, ანდალუზიელებმა ყურადღება ლონდონის „ჩელსის" ცენტრალურ მცველზე გადაიტანეს.

ესპანური გაზეთების ცნობით, მოლაპარაკება წარმატებით მიმდინარეობს. ფეხბურთელს და მის წარმომადგენლებს სურთ, რაც შეიძლება, მალე გააფორმონ შეთანხმება „სევილიასთან".

ამბობენ, რომ ბულარუზი „სევილიას" სიყვარულით მიუნხენის „ბაიერნს" გააწბილებს და მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში „სანჩეს პისხუანზე" ითამაშებს.

ჰოლანდიელი ფეხბურთელი ლონდონურმა კლუბმა ერთი წლის წინ 10 მილიონ ევროდ იყიდა.

ახლა „ჩელსის" დაცვაში ახალწვეული ტალ ბენ ჰაიმი ჰყავს, პსვ-დან ალექსიც უნდა მივიდეს და ინგლისელთათვის ბულარუზის გაცემა დილემა არ იქნება.

„სევილია" ჰოლანდიელში 5 მილიონი ევროს გადახდას აპირებს.

**ლადო ხომერიკი**





# კანონებით თამაში კაკასთვის

**მადრიდის** „რეალს" უნდა, კაკა მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქციოს. ესპანური მედიის ცნობით, ფეხბურთელის მამამ და აგენტმა ბოსკო ლეიტემ, მადრიდული კლუბისგან საუცხოო ეკონომიკური შემოთავაზება მიიღო. თუ კაკა „რეალში" გადაბარგებას გადაწყვეტს, 5 სეზონის განმავლობაში წლიურად 9 მილიონ ევროს მიიღებს.

მიუხედავად იმისა, რომ მადრიდელებმა რამდენიმე დღის წინ თითქოს კაკაზე ხელი ჩაიქნიეს (ფეხბურთელმა „მილანის" ერთგულების თაობაზე გამოაცხადა, ხოლო „რეალის" პრეზიდენტმა კალდერონმა „ასთან" ინტერვიუში ბრაზილიელის ტრანსფერზე საკმაოდ პესიმისტურად ისაუბრა), ცხადია, რომ „სამეფო კლუბი" თავის ძველ ოცნებასთან განშორებას ასე ადვილად არ აპირებს.

„ბერნაბეუზე", ახლა ფინანსურად უფრო დრეკად ესპანურ კანონმდებლობას იყენებენ, რათა ბერლუსკონის გუნდს კაკა გამოჰგლიჯონ — პირინეებზე ფეხბურთელთა ჯამაგირის მხოლოდ 25 პროცენტი იბეგრება, მაშინ, როცა იტალიაში იქაური ფინანსური სისტემა მოთამაშეთაგან ხელფასის 30 პროცენტის დაბეგვრას ითვალისწინებს. „რეალი" კაკას 12 მილიონ ევროს გადაუხდის, რომლიდანაც ბრაზილიელის სალაროში 9 მილიონი დარჩება.

„მილანს" კი კაკას ამჟამინდელი ხელფასის გაზრდა მხოლოდ 500 ათასი ევროთი შეუძლია. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ოკეანისგაღმელი სათამაშოდ იტალიაში დარჩა, წლიურად მიიღებს 6 მილიონ ევროს, ანუ იმაზე სამი მილიონით ნაკლებს, რასაც „რეალი" აღუთქვამს. ახლა ესპანური და იტალიური თანხები 5 სეზონის განმავლობაში შევადაროთ — გამოდის, რომ კაკა „ბერნაბეუზე" გადაუსვლელობით 15 მილიონ ევროს კარგავს.

ბოსკო ლეიტე თავის შვილთან ერთად მილანში 20 ივლისს დაბრუნდება და იქაურ უფროსობას კაკას ჯამაგირის მადრიდული შემოთავაზების ტოლფასად გაზრდას მოსთხოვს, თუმცა იტალიელთათვის ეს საკმაოდ რთული იქნება. ფეხბურთელის პრესმდივანმა დიეგო კოჩომ კი განაცხადა: „რეალის" წინადადება ძალიან მომგებიანია".

ამბობენ, რომ კომპანიები, „ბ-ვინი" და „ადიდასი", რომლებიც „რეალის" და „მილანის" სპონსორები არიან, კაკას მადრიდში გადასვლას ფრიად კარგი თვალით უყურებენ.

**ლადო ხომერიკი**


ტრიმოლი
ტაბლეტები
▶ ტკივილგამაყუჩებელი
▶ სიცხის დამწევი
▶ ანთებისსაწინააღმდეგო



ტრიმოლი სამმაგი მოქმედების ფორმულა
➤ პარაცეტამოლი 250მგ
➤ კოფეინი 30მგ
➤ პროპიფენაზონი 150მგ

ცხელება, შაკიკი, თავის ტკივილი, კბილის ტკივილი, სახსრების ტკივილი, მენსტრუალური ტკივილი, ნევრალგია, ცხელებით მიმდინარე ინფექციურ-ანთებითი დაავადებები.

ამ პრობლემებს მოგიხსნით
ტრიმოლი

უკუჩვენება:
ექვს წლამდე ასაკის ბავშვები;
კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული;
ბრონქული ასთმა;
პრეპარატის კომპონენტების მიმართ მომატებული მგრძნობელობა;

მიღების წესი და დოზირება:
მოზრდილებში თითო ტაბლეტი 1-4ჯერ დღეში, სასურველია ჭამის შემდეგ. ბავშვებში (ექვსი წლის ზემოთ) ნახევარი ტაბლეტი 1-4ჯერ დღეში.

ყურადღებით გაეცანით სამკურნალო საშუალების გამოყენების ინსტრუქციას




აჯანტა ფარმა ლიმიტედი - ინდოეთი

ჩემი ოჯახის აფთიაქი

ტრიმოლი სამმაგი მოქმედების ფორმულა

# მესამე და ათიანი

## ზინედინ ზიდანი: უბრალოება წარმოაჩენს ადამიანის ინტელექტს

ხომ გახსოვთ „სარბიელის“ რუბრიკა geo-geo-fan? ეს ის რუბრიკაა, ქართველ გულშემატკივარს გაზეთის ფურცლებიდან აზრის გამოხატვის საშუალებას რომ აძლევს. ამ რუბრიკის მეშვეობით, „სარბიელის“ კარი ღიაა ყველასთვის, ვინც „წერას ჰყავს ატანილი“, ვისაც ფიქრი აწვალებს და ამ ფიქრის ფურცელზე გადატანის უნარი აქვს. ამასთან, სულ არ არის აუცილებელი, აზრი, რომელსაც ხსენებულ ფურცელზე კალმით ვაბამთ, გენიალური იყოს, გენიოსობა სხვათათვის დაგვითმია. ჩვენი მიზანი სხვაა — ფიქრი მოცემულ თემაზე. ხომ დაკვირვებიხართ ქართულ ტელე SMS-ებს? ეკრანის ქვემოთ, ეგრეთწოდებულ მორბენალ სტრიქონზე გაუთავებლად იწერება „ბარსა მაგარია“ და „მილანი ჯიგარია“. ჩვენ ამისგან განსხვავებული რამ გვსურს და geo-geo-fan-იც ამიტომ მოვიფიქრეთ.
დღევანდელი წერილი კი „სარბიელის“ „შეკვეთილ თემაზე“ არ იწერება. რაც მოხდა, ჩვენც არ ველოდით, მკითხველმა თავის საყვარელ ფეხბურთელზე ჩანახატი გამოგვიგზავნა და ჩვენც გავიფიქრეთ: რატომაც არა? იმედია, ავტორი სტილში ოდნავ ჩარევას გვაპატიებს, ფართო მასებს კი ვთხოვთ: „ბარსა მაგარიას“ და „მილანი ჯიგარიას“ ავტორები ნუ გამოგვეხმაურებით, დანარჩენებს კი... ვნახოთ, რა გამოვა ამ საქმიდან...



„ის ბოლო 10 წლის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი იყო. ფიგუ, რონალდო, კაკა, ბექჰემი შესანიშნავი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ის განუმეორებელია“.

**პელე**

შარშან უეფამ, ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, სადაც მეორე-მესამე ადგილები ფრანც ბეკენბაუერს და იოჰან კრუიფს ხვდათ. 123 582 ხმით კი სიას ერთპიროვნულად ლიდერობდა ზინედინ ზიდანი!

„გასაკვირი და უზომოდ სასიხარულოა ბეკენბაუერის და კრუიფის გვერდით მოხვედრა. ეს ჩემთვის დიდი პატივია“ — თქვა მაშინ ზიდანმა, უბრალოდ, ზიზუმ, მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთმა გამორჩეულმა ვარსკვლავმა.

ეს ყველაფერი კი 1988 წელს, პროვინციულ „კანში“ დაიწყო, სადაც ზიზუმ პროფესიული კარიერის პირველი ოთხი წელი გაატარა...

„დიდ კარიერაზე არასოდეს მიოცნებია, რაც მერე მოხდა, ყველაფერი მოულოდნელობა იყო ჩემთვის“ — ვკითხულობთ მის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში.

დასაწყისი არცთუ შთამბეჭდავი იყო, თუმც შედარებით წარმატებული გამოდგა მომდევნო ოთხი წელი „ბორდოში“.

1996 წლიდან კი იწყება ზიზუს ათწლიანი ხანა...

„ცხოვრებაში ყოველთვის მოკრძალებული და შეუმჩნეველი ვიყავი, მხოლოდ მოედანზე ვცდილობდი პირველობისთვის ბრძოლას“ — ამბობს ზიზუ ავტობიოგრაფიულ წიგნში.

„კანი“, „ბორდო“, „იუვენტუსი“... ხუთი დაუვიწყარი სეზონი ტურინში და ზინედინ ზიდანი დიდების მწვერვალზეა!

ხშირად ისმის კითხვა — „პელე თუ მარადონა?“ ამ ორ ფეხბურთელს ერთი საერთო თვისება ჰქონდა, რამაც ისინი ფეხბურთის სიმბოლოდ აქცია — ნებისმიერ მათგანს ყოველ წუთს შეეძლო თამაშის საკუთარ თავზე აღება და მატჩის ბედის გადაწყვეტა.

ბევრს ეგონა, რომ მარადონას შემდეგ ასეთი კაშკაშა ლეგენდა აღარ დაიბადებოდა და ფეხბურთის სილამაზეს ძალისმიერი ორთაბრძოლები ჩაყლაპავდა, მაგრამ... მოვიდა 1994 წლის 17 აგვისტო და საფრანგეთის ნაკრების მატჩი ჩეხებთან. პირველი ტაიმის შემდეგ მატჩის ბედი თითქმის გადაწყვეტილი იყო, როდესაც 69-ე წუთზე მოედანზე ზინედინ ზიდანი შევიდა და ორი ულამაზესი გოლით აღნიშნა „სამფეროვანი“ დებიუტი. ის მატჩი 2:2 დასრულდა.

„მისი თამაში მაგიურია. ზიზუ ჩვენ წინ მოგვიძღვის“ — იტყვის პატრიკ ვიერა რამდენიმე წლის შემდეგ.

1998 წელს ზიდანი საფრანგეთის სიმბოლოდ იქცა. ბევრი ფინალი თუ გადამწყვეტი მატჩი მოუგია ზიზუს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატმა მას საოცარი დიდება მოუტანა — ფრანგებმა ის ფეხბურთის ღმერთად აღიარეს...

„ჩვენი პატივისცემის მოსაპოვებლად მას არაფრის თქმა დასჭირვებია — ის ისეთი შევიყვარეთ, როგორიც არის“ — თქვეს „გალაქტიკოებმა“ მას შემდეგ, რაც ზიდანი მადრიდის „რეალმა“ დღემდე რეკორდულ თანხად, 74 მილიონ დოლარად შეიძინა.

ამ ტრანსფერს, რა თქმა უნდა, მორიგი ტიტულები მოჰყვა — მადრიდში მისი პროფესიონალიზმი და ელეგანტური ტექნიკა საბოლოოდ დაიხვეწა და მისი აუღელვებელი და დინჯი სტილი საფეხბურთო სრულყოფილების სიმბოლოდ იქცა. გადატვირთულმა კალენდარმა და დიდმა ზეწოლამ კი ასაკშეპარულ ზიზუს ტრავმები მოუმრავლა, რის გამოც მან ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტა...

ყველაზე კარგად სწორედ მაშინ გამოჩნდა მისი წონა მსოფლიო ფეხბურთში — ზიდანის წასვლამ ნაკრები მორალურად გაანადგურა.

დიდი ხნის ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ზიდანმა მაინც ითავა უმძიმესი ტვირთის ტარება და „სამფეროვნებს“ მუნდიალზე გერმანიაში გაუძღვა.

თითქოს ფრანგები თავიანთ ლიდერთან ერთად თავიდან დაიბადნენ და საკმაოდ დამაჯერებელი თამაშით ფინალსაც უწიეს...

ზიდანი მესამე ფეხბურთელია პელესა და ვავას შემდეგ, რომელმაც ორჯერ მოახერხა მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალებში გოლის გატანა.

თუმცა იტალიელთა კარში გატანილ გოლს წითელი ბარათიც მოჰყვა და... ზიდანის დიდობა იქიდანაც კარგად ჩანს, რომ მისი სკანდალური თავური არამც და არამც არ გამხდარა გაკიცხვის საგანი. ფრანგთა ათიანის საქციელი, რა თქმა უნდა, მიუღებელი იყო, მაგრამ მსოფლიო ამას მაინც არ გაულიზიანებია. ის წავიდა ისე, როგორც არავინ არასოდეს წასულა!

ახლა ის მეუღლე ვერონიკასთან და ოთხ შვილთან ერთად ცხოვრობს და სხვადასხვა საქველმოქმედო ღონისძიებებში მონაწილეობს.

„უბრალოება წარმოაჩენს ადამიანის ინტელექტს“ — ამბობს ფრანგი ლეგენდა ჟურნალ STERN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ასე ამაყად დაემშვიდობა დიდი ფრანგი მილიონობით გულშემატკივარს და, შეიძლება ითქვას, სწორედ ზიდანით შეივსო მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო ათიანთა სამეული: პელე, დიეგო, ზიზუ.

P.S. მადრიდში, „რეალის“ იუნიორთა აკადემიაში ირიცხება 12 წლის ენცო ფერნანდესი (ფერნანდესი დედის გვარია). მის მაისურას 10 ნომერი ამშვენებს და ოდნავ მამასაც წააგავს. ცოტა თუ გრძნობს, რომ ენცო „რეალის“ ამომავალი ვარსკვლავია, მისი მამა კი არის ადამიანი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ ბურთთან „ცეკვავდა“...

**დავით ყანდარელი**



# შუსტერმა რეალის ვალი გადაიხადა

**მადრიდის** „რეალს“ მწვრთნელი შეიძლება დღეს გამოუჩნდეს. სამარჩიელო და სავარაუდო არაფერი დარჩა და თამამად შეგვიძლია, ვთქვათ, რომ ეს კაცი გერმანელი ბერნდ „ბერნარდო“ შუსტერი იქნება.

ალემანი თავის კლუბ „ხეტაფეს“ 480 ათას ევროს გადაუხდის და თუ „ლურჯების“ პრეზიდენტმა მიგელ ანხელ ტორესმა ქვა არ ააგდო და თავი არ შეუშვირა, „ბერნარდოს“ ამ კლუბთან კონტრაქტი ვადაზე ადრე დაუმთავრდება.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ხეტაფესგან“ თავისუფალი შუსტერი დღესვე შეიძლება „რეალის“ ახალ მწვრთნელად წარდგეს.

მედიის ცნობით, „ბერნარდომ“ და „სამეფო გუნდმა“ თანამშრომლობის გადაწყვეტილება კარგა ხანია, რაც მიიღეს და რეალელებიც სამომავლო ტრანსფერებზე სათათბიროდ ჯერაც „ხეტაფეს“ ბანაკში მყოფ გერმანელს აკითხავდნენ.

**ლადო ხომერიკი**

# კომენდანტის საათი ბარსაში

**ხუან ლაპორტა** „ბარსელონაში“ საგანგებო წესების შემოღებას აპირებს. კატალონიურ გრანდში თვლიან, რომ გასული სეზონის უიღბლობა კლუბში დისციპლინის სისუსტეზე ბევრად იყო დამოკიდებული და პრეზიდენტ ლაპორტასაც სურს, სამომავლოდ უსიამოვნო სიურპრიზებისგან თავი დაიზღვიოს.

საქმე ძირითადად „ბარსას“ ფეხბურთელთა ღამეულ ლაშქრობებს და დისკოთეკებში ლაღ გართობას ეხება. „კომენდანტის საათის“ მიხედვით, ფრანკ რაიკარდის შეგირდები მაქსიმუმ ღამის პირველ საათზე შინ უნდა იყვნენ, რათა დილით ვარჯიშზე თავი დამძიმებულად არ იგრძნონ.

„სპორტი“ „ღამის გმირების“ ვინაობას არ გვიმხელს, მაგრამ წერს, რომ ლაპორტა ბოჰემური ცხოვრების მოყვარული ზოგიერთი ფეხბურთელით ძალიან უკმაყოფილოა — გასართობ ადგილებს ძალიან გაუშინაურდნენ და ხალხი მათ არასერიოზულ პიროვნებებად აღიქვამსო.

„ყველას უნდა ახსოვდეს, რა გუნდის ღირსებას იცავს. ფეხბურთელები ისე უნდა მოიქცნენ, როგორც კლუბის სახელს და ისტორიას შეეფერება“ — აღნიშნა ხუან ლაპორტამ.

აქამდე ფრანკ რაიკარდი თავის შეგირდებს დემოკრატიულად ექცეოდა, თუმც, როგორც ჩანს, სენიორ ლაპორტამ ჰოლანდიელს ეს ლმობიერება სისუსტედ ჩაუთვალა. ამბობენ, რომ ამიერიდან „მეამბოხენი“ სასტიკად დაისჯებიან.

გავიხსენოთ, რომ გასულ სეზონში, როცა მწვრთნელზე გაჯავრებულმა სამუელ ეტოომ მოედანზე შესვლა იუარა, იგი არანაირი სანქციით არ დაუსჯიათ. ახლა კი კატალონიური მედია ამტკიცებს, რომ ეტოოს მსგავს ცხელსისხლიანებს ემოციების მოთოკვა მოუწევთ — წინააღმდეგ შემთხვევაში, უზარმაზარ ფულად ჯარიმას აჰკიდებენ და რამდენიმე მატჩით ცხვირს არ შეაყოფინებენ მინდორზე...

ბარსელონელი ფეხბურთელები სიტუაციის გამკაცრებას უარყოფითად არ შეხვდნენ — პირიქით, თავად ეტოომ თქვა, გუნდში დისციპლინის სიმტკიცეს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს და როცა საჭიროა, ყველამ თავისი პირადი საქმე უნდა დაივიწყოს და „ბარსელონას“ წარმატებაზე იფიქროსო.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 17 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1.60 | 3.30 | 4.30 | 1.07 | 1.16 | 1.86 |
| 21:00 | 18 | გაის-ტრელებორგი | 1.80 | 3.20 | 3.40 | 1.15 | 1.17 | 1.64 |
| 22:00 | 19 | აიკ-ელფსბორგი | 2.50 | 3.10 | 2.40 | 1.38 | 1.22 | 1.35 |
| | | 10 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 20 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 2.20 | 3.10 | 2.80 | 1.28 | 1.23 | 1.47 |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 21:00 | 21 | კალმარი-ჰამარბი | 2.05 | 3.20 | 3.00 | 1.24 | 1.21 | 1.54 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 20:00 | 31 | ჰაკა-ჰიკ | 2.15 | 3.10 | 2.80 | 1.26 | 1.21 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ირლანდია | | | | | | |
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 23:00 | 95 | ბოჰემიანი-ბრეი | 1.45 | 3.40 | 5.50 | 1.01 | 1.14 | 2.10 |
| | | აზიის თასი 2007 | | | | | | |
| | | 9 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 74 | იაპონია-ყატარი( ვიეტნამი) | 1.40 | 3.50 | 6.30 | 1.00 | 1.14 | 2.25 |
| | | 10 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 75 | ინდონეზია-ბაჰრეინი(ინდონეზია) | 3.85 | 3.20 | 1.80 | 1.74 | 1.22 | 1.15 |
| 16:30 | 76 | მალაიზია-ჩინეთი(მალაიზია) | 7.00 | 3.50 | 1.40 | 2.33 | 1.16 | 1.00 |
| | | 11 ივლისი | | | | | | |
| 14:20 | 77 | ირანი-უზბეკეთი(მალაიზია) | 1.50 | 3.30 | 5.50 | 1.03 | 1.17 | 2.06 |
| 16:30 | 78 | საუდის არაბეთი-ს არაბეთი(ინდონეზია) | 2.05 | 3.10 | 3.00 | 1.23 | 1.21 | 1.52 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10017 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 2.05 | 2.10 | 4.60 | 1.03 | 1.41 | 1.44 |
| 10018 | გაის-ტრელებორგი | 2.20 | 2.00 | 3.70 | 1.04 | 1.37 | 1.29 |
| 10019 | აიკ-ელფსბორგი | 2.85 | 2.00 | 2.75 | 1.17 | 1.39 | 1.15 |
| 10020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 2.60 | 2.00 | 3.25 | 1.13 | 1.44 | 1.23 |
| 10021 | კალმარი-ჰამარბი | 2.40 | 2.00 | 3.35 | 1.09 | 1.39 | 1.25 |
| 10031 | ჰაკა-ჰიკ | 2.45 | 2.00 | 3.25 | 1.10 | 1.39 | 1.23 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11017 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11018 | გაის-ტრელებორგი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11019 | აიკ-ელფსბორგი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11021 | კალმარი-ჰამარბი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11031 | ჰაკა-ჰიკ | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12017 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1.80 | 1.60 |
| 12018 | გაის-ტრელებორგი | 1.60 | 1.80 |
| 12019 | აიკ-ელფსბორგი | 1.60 | 1.80 |
| 12020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 1.80 | 1.60 |
| 12021 | კალმარი-ჰამარბი | 1.80 | 1.60 |
| 12031 | ჰაკა-ჰიკ | 1.60 | 1.80 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 14017 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1.30 | 2.50 |
| 14018 | გაის-ტრელებორგი | 1.65 | 2.30 |
| 14019 | აიკ-ელფსბორგი | 1.95 | 1.85 |
| 14020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 1.80 | 2.00 |
| 14021 | კალმარი-ჰამარბი | 1.75 | 2.10 |
| 14031 | ჰაკა-ჰიკ | 1.75 | 2.10 |

### გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17017 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1.85 | 1.95 |
| 17018 | გაის-ტრელებორგი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | აიკ-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17021 | კალმარი-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |
| 17031 | ჰაკა-ჰიკ | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15017 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | გაის-ტრელებორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | აიკ-ელფსბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | კალმარი-ჰამარბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15031 | ჰაკა-ჰიკ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16017 | გეფლე-ბრომაპოიკარნა | 1.22 | 3.40 |
| 16018 | გაის-ტრელებორგი | 1.30 | 3.00 |
| 16019 | აიკ-ელფსბორგი | 1.80 | 1.85 |
| 16020 | გიოტებორგი-ჰელსინგბორგი | 1.55 | 2.20 |
| 16021 | კალმარი-ჰამარბი | 1.45 | 2.45 |
| 16031 | ჰაკა-ჰიკ | 1.52 | 2.20 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

პლაჟის ფრენბურთი





საქა და რთველო

# კაც-ქალური ამბავი პლაჟზე

## საქა-რთველომ გეორ-გიას აჯობა

**პლაჟის ფრენბურთში** ჩვენი წყვილები გეორ-გია და საქა-რთველო წლეულს უკვე მეექვსე მსოფლიო ტურზე თამაშობენ. უფრო ზუსტად კი თამაშობდნენ, რადგან მონრეალში დღეს დასასრულებელი საპრიზო 200 ათასიანი ტურნირი ჩვენებისთვის შაბათს დასრულდა. ერთი კია, რაც წლევანდელი სეზონი დაიწყო. უფრო კაცები — გეორ-გია ყოჩაღობდნენ, ბოლო ორი ტურია კი ქალები — საქა და რთველო უკეთ ათამაშდნენ.

მონრეალშიც ასე იყო. ტურნირის პირველი დღის შემდეგ ორივე წყვილს თითო მოგება-წაგება და სანუგეშო წრეში მარცხის უფლება აღარ ჰქონდათ.

სამწუხაროდ, გეორ და გიამ მეორე დღესვე წააგეს გერმანელებთან რიკერმანთან და ურბაცკასთან და საქა და რთველოს ქომაგებში გადაინაცვლეს.

ჩვენმა ქალთა წყვილმა კი სანუგეშო წრეში ჯერ ფრანგები გიაუ და ამზუი, მერე კი შვეიცარიელები კუნი და შვერი ერთნაირი ანგარიშით 2:0 დაამარცხეს და სარეიტინგო ქულები ჩაიწერეს. ამით საქა და რთველომ მეთორმეტე და მეთექვსმეტეს შორის დაიბევეს ადგილი, უფრო მეტი კი ველარ შეძლეს. ზედიზედ ორი მატჩის შემდეგ არაქათი აღარ ეყოთ და ტურნირზე მე-4 ნომრად განთესილ ბრაზილიელებთან ბაროშთან და კონოლისთან 0:2 წააგეს.

**გაჩო სვანიძე**

## ოცწლამდელთა ევროპის ჩემპიონატი
### სლოვენია-იტალია. 6-15 ივლისი

# იშვიათი რამ: იღბალი ქართველების მხარეს იყო



ქართველთაგან საუკეთესო მიხეილ ჭოჭუა

**საქართველოს** ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე თავისი სიტყვა უკვე თქვა. დავით უსტიაშვილის სამწყსომ ჯგუფში მხოლოდ მასპინძელ და ჩემპიონობის ერთ-ერთი კანდიდატ იტალიასთან წააგო და მომდევნო ეტაპზე გასვლით A დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველი 20-წლამდელები მომავალ წელსაც ევროჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ — საქართველომ კონტინენტის 16 საუკეთესოთა შორის ყოფნა კიდევ ერთი წლით გაიხანგრძლივა.

ევროჩემპიონატზე რომ მიდიოდნენ, ქართველებს სწორედ ეს მიზანი ჰქონდათ. ჩვენიანთა თავკაცი დავით უსტიაშვილი რეალისტი მწვრთნელია და ლოგიკურად აფასებდა თავისი გუნდის შესაძლებლობებს. ყველამ კარგად იცოდა, რომ ქართველებს იტალია-სლოვენიაში მედლებამდე არავინ მიუშვებდა. ამიტომაც პროგრამა-მინიმუმიც და მაქსიმუმიც ჯგუფიდან გასვლა იყო და ეს ბარიერი უკვე დაძლეულია.

ახლა ქართველები მეორე ჯგუფურ ეტაპზე გააგრძელებენ... ჩემპიონობისთვის ბრძოლას. სხვანაირად ვერც ვიტყვით — მომდევნო ეტაპზე გასულ თორმეტივე გუნდს თეორიულად ხომ აქვს პირველობის შანსი. თანაც გათამაშების ფორმატი ისეთია, რომ გუნდებს ჯგუფში მოპოვებული ქულები თან გადაჰყვებათ და ამ პრინციპით ქართველებს არცთუ ურიგო ჰანდიკაპი აქვთ — 2 გამარჯვება.

ახლა იოლად ვამბობთ, მაგრამ ტურნირის დაწყებამდე ძნელად სავარაუდო იყო, რომ საქართველო ჯგუფში წინ მხოლოდ იტალიას გაუშვებდა. საწყის ტურში ლატვიელების განადგურების შემდეგ უსტიაშვილის გუნდმა იტალიასთან დაისვენა და გუშინ უდაბაძულეს, დრამატიზმით სავსე მატჩში ბულგარეთი ბოლო წამზე დაამარცხა.

**იტალია 94:56 საქართველო**
**15:15 34:18 20:9 25:14**

**იტალია:** ჰაკეტი (17), დერკოლე, ბრუტინი (4), დატომე (21), ჩიუმენტი (4); პიაცა (7), გიური (6), ტომაზინი (2), ჩურაკოლო (9), ფილოი (10), არადორი (10), ამანატო (4)

**საქართველო:** გაფრინდაშვილი (5), ფარლალავა (3), ბერიშვილი, დიდია, შერმადინი (12); ჭოჭუა (12), მათიაშვილი (10), ჯაგერენაია (5), ცეცვავა (3), ლაფანაშვილი (6), წიწნიაძე, გულისაბედაშვილი

თქმა არ უნდოდა, რომ ქართველები წინდაწინ იყვნენ მარცხს შეგუებულნი. პირველ ტურში აპენინელებმა ბულგარელები გააპარტახეს და თავისი ფავორიტობა ცხადყვეს. არც იმას ჰქონდა მნიშვნელობა, რამდენი ქულით წააგებდა საქართველო, რადგან იტალია სავარაუდოდ პირველზე გავიდოდა და მასთან ჩაგდებულ-მიღებული ბურთები ანგარიშში არ მიიღებოდა. ამ სისტემით ხომ თანაბარქულიანი გუნდები არკვევენ ერთმანეთში საუკეთესოს.

თან საქართველოს ბოლო ტურში მეტ-ნაკლებად „თანატოლი" ბულგარეთი ელოდა და სწორედ ამ ჯახისთვის მართებდა ძალების დაზოგვა. ამიტომაც იყო, დავით უსტიაშვილმა 21 წუთზე მეტი რომ არავინ ათამაშა. კი, ბატონო, უძალიანდებოდნენ ქართველები იტალიელებს და პირველი მეოთხედი ფრედაც დაასრულეს, მაგრამ მერე ცხადი გახდა მასპინძლების უპირატესობა და ქართველებმა თავი აღარ შეაკლეს მეტოქეს.

საქართველო არც ისეთი ანგარიშით დამარცხებულა იტალიელებთან, თავის გამოსაყოფი რომ არ ჰქონოდა. თანაბარი საწყისი ათწუთეულის შემდეგ ქართველებმა საბოლოოდ 38 ქულა დაუთმეს მრისხანე მეტოქეს და ბულგარეთთან საბრძოლველად მოიმართნენ.

**საქართველო 75:74 ბულგარეთი**
**22:12 14:23 20:17 19:22**

**საქართველო:** გაფრინდაშვილი (14), ჭოჭუა (22), ბერიშვილი, დიდია (3), შერმადინი (10); ფარლალავა (17), მათიაშვილი (5), წიწნიაძე (4), ლაფანაშვილი, ჯაგერენაია

**ბულგარეთი:** ნაკოვი (6), ლ. ლილოვი (7), ი. ლილოვი (16), კოსტოვი (16), ფიკოვი; კოლევი (14), ჩოლაკოვი (9), ავრამოვი (6), დურჩევი, ფილჩევი

ასეთი თამაშები, უფრო სწორად, ფინალური წუთები, ძალიან იშვიათია. შეიძლება ითქვას, რომ ქართველებმა სენსაციურად მოიგეს, მათ ძალიან მაგრად გაუმართლათ, მაგრამ თამაშის ზოგადი სცენარის მიხედვით ჩვენები გამარჯვებას ალალად იმსახურებდნენ.

ბულგარელები ამ მატჩს ორჯერ იგებდნენ: საწყის და ბოლო წამებზე, ისიც ერთი ქულით. მთელი დანარჩენი დრო კი ქართველებისა იყო. უსტიაშვილის ბიჭები ხან 5 ქულით იყვნენ წინ, ხან 8-ით, რამდენჯერმე სხვაობამ 10-ქულიან ზღვარსაც გადააჭარბა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ბოლო წუთებზე ქართველებს მიზანი წაუხდათ, დაიბნენ და ბოლო 2 წუთში 5 ქულა გაანიავეს.

–გიორგი შერმადინმა მორიგი ორქულიანი რომ ჩააგდო და ჩვენები 73:67 დააწინაურა, მერე მალევე მეხუთე ჯარიმა მიიღო და თამაშიდან გავიდა. ბულგარელებსაც მანამდე გაუვარდათ ერთ-ერთი ლიდერი ლიუბომირ ლილოვი, მაგრამ ისინი ამ დანაკლისმა კი არ დააბნია, არამედ კიდევ უფრო გააერთიანა.

ქართველთა კალათს ლიუბომირის ძმა ივანე მიეძალა და მისი შემჩერებელიც არავინ მოინახა. სწორედ მასზე დაჯარიმდა მეხუთედ შერმადინი და ლილოვმა საჯარიმოს ხაზიდან 70:73 მიაახლოვა ბულგარელები ქართველებს. სირენამდე 100 წამით ადრე გიორგი გაფრინდაშვილმა სამქულიანი გააცუდა, მაგრამ ბურთი ჩვენიანებს დარჩათ და ისევ უიღბლობა: რიჩარდ მათიაშვილი შეტევაში დაჯარიმდა და ბორის ავრამოვმა სირენამდე წუთით ადრე საჯარიმოებით სხვაობა ქულამდე შეამცირა.

ქართველები ისე დაიბნენ, რომ ბურთი თავისსავე მოედანზე დაკარგეს და მიხეილ ჭოჭუამ ივანე ლილოვი ჯარიმით შეაჩერა. ბულგარელთა ლიდერმა ორივე ჩააგდო და თამაშის დასრულებამდე 50 წამით ადრე ბულგარეთი ქულით დააწინაურა.

ჩვენებმა მალე ისეთი რომ „გააკეთეს", რომ იტყვიან, მეტოქეს გამარჯვება ხონჩით მიართვესო. მათიაშვილი შეტევაში დაჯარიმდა, მე-5 პერსონალური მიიღო და მოედანი დატოვა. სირენამდე 40 წამი რჩებოდა, ბულგარელებმა კი შეტევისთვის განკუთვნილი დრო ბოლომდე ამოწურეს და ლილოვმა სამქულიანი ააცილა. ბურთი მიხეილ ბერიშვილმა მოხსნა, გაფრინდაშვილს უპასა და ამ უკანასკნელზე მეტოქე იძულებით დაჯარიმდა...

აქედან დაიწყო ის სასწაული, რამაც ქართველებს თამაში მოაგებინა. გაფრინდაშვილმა დასრულებამდე 13 წამით ადრე ხელის აუკანკალებლად ჩააგდო ორივე საჯარიმო და საქართველო 75:74 დააწინაურა.

ბულგარელების ბოლო შეტევა: ქართველები კარგად იცავენ თავს, მაგრამ ბოლოს ცუდი რომ ემართებათ. ზუსტად მაშინ, როცა ტაბლოზე ნულები დაიწერა და საფინალო სირენა უნდა გაჟღერებულიყო, მიშა ბერიშვილი ბულგარელთა ბომბარდირ ივან ლილოვზე დაჯარიმდა.

დრო ამოწურულია და ლილოვი საჯარიმოებს ესვრის. ქართველები ალბათ იმას ნატრობენ, რომ ბულგარელმა ერთი სროლა მაინც ააცილოს და თამაში ოვერტაიმში გადავიდეს, მაგრამ... ლილოვი ქართველების გასახარად და ბულგარელთა გულგასახეთქად ორივე სროლას აცილებს... საქართველომ ქართველებისთვის იშვიათი გამართლებით გაიმარჯვა.

სანამ ეს დრამატული ბოლო წუთები მოატანდა, ჩვენებს თითქმის არ ჰქონიათ სანერვიულო. ერთი მეორე მეოთხედში გაუჭირდათ, თორემ დანარჩენ პერიოდში უსტიაშვილის ბიჭებს დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ.

ჩვენიანთა წარმატებული თამაშის გარანტი ლაშა ფარლალავა და განსაკუთრებით მიხეილ ჭოჭუა იყვნენ. ეს უკანასკნელი მესამე მეოთხედში ლამის მარტო ეომებოდა ბულგარელებს და არაერთი ჰაერივით საჭირო ქულა მიაშველა ქართველებს.

**მომდევნო ეტაპი**

ამ ევროჩემპიონატს ასეთი ფორმატი აქვს: 4 ჯგუფში განაწილებული 16 გუნდიდან მომდევნო ეტაპზე 12 გავიდა. ანუ თითო ჯგუფიდან 3-3 საუკეთესო.

მომდევნო ეტაპზე გუნდები ორ ჯგუფში განაწილდებიან, ანუ თითოში 6-6.

**A** და **B** ჯგუფებიდან გასული გუნდები **E** ჯგუფში გაერთიანდებიან, ხოლო **C** და **D**-ს მოწინავეები — **F**-ში.

საქართველო, იტალია, ბულგარეთი და **C** ჯგუფიდან გასული ისრაელი, ესპანეთი და ხორვატია მომდევნო ეტაპზე ერთად იქნებიან: გუნდებს პირველ ეტაპზე დაგროვილი ქულები შერჩებათ და მხოლოდ მეზობელი ჯგუფიდან გამოსულ სამ გუნდს შეხვდებიან. მაგალითისთვის, საქართველო ესპანეთს, ისრაელსა და ხორვატიას გაეჯიბრება. ჯგუფებში საუკეთესო 2-2 გუნდი ნახევარფინალში დაწყვილდება.

## სანიკიძის 8 1/2
### ვიქტორმა NBA ლას ვეგასში გაიტანა



**ლას ვეგასში** გახურდა საზაფხულო ლიგა, სადაც ახლახან გასრულებულ დრაფტში აყვანილი ახალგაზრდების უმეტესობას მოუყრია თავი. არიან გარკვეული გამოცდილების, თუმც კონტრაქტის უქონელი მოთამაშეებიც, რომლებიც ცდილობენ, კლუბების ხელმძღვანელობას თავი მოაწონონ.

ლას ვეგასში არიან ნიკა ცქიტიშვილი და ვიქტორ სანიკიძეც. პირველი „დენვერშია" და მისთვის ლიგა დღეს, „ლოს ანჯელეს კლიპერსთან" მატჩით იწყება, ხოლო ვიქტორ სანიკიძის „სან ანტონიომ" უკვე 2 თამაშის გამართვა მოასწრო.

გუშინწინ სანანტონიოელები „ფილადელფიას" შეხვდნენ და 61:65 დამარცხდნენ. სანიკიძე განაცხადში იყო, მაგრამ მოედანზე არ გასულა. გუშინ კი ქართველმა ფორვარდმა რვაწუთნახევარი ითამაშა „კლივლენდის" წინააღმდეგ და 2 ქულა და 4 მოხსნა დააგროვა. „ვიკამ" სამი ცდიდან 1 ორქულიანი ჩააგდო, პერიმეტრსმიღმიდან კი ერთხელ მოშართა მიზანი და ისიც უშედეგოდ.

„სან ანტონიომ" ეს თამაშიც წააგო, თუმც ამ მატჩებს სულ სხვა დატვირთვა აქვს და ამაში სანიკიძეს ჯერ არ უმართლებს. „ვიკა" ამერიკაში რომ მიდიოდა, ამბობდა, თუ თავს გამოვიჩენ, შესაძლოა, „სან ანტონიოსგან" კონტრაქტი დავიმსახუროო. ჯერჯერობით მან ფრთები ვერ გაშალა და საკუთარი ძალის დასამტკიცებლად ორი მატჩიღა რჩება. ხვალ „სან ანტონიო" „ბოსტონს" შეხვდება.

ცქიტიშვილს ლას ვეგასის, და საერთოდ, საზაფხულო ლიგები კარგად აქვს დაცდილი. ნიკა ყოველთვის დიდი წარმატებით თამაშობდა ამგვარ მატჩებს და რომელ საზაფხულო ლიგაზეც გამოსულა, ძირითადად სულ ლიდერთა შორის ყოფილა. ვნახოთ, რა იქნება ამჯერად. დენვერელებმა ძალიან კარგად იციან ქართველი ფორვარდის შესაძლებლობები, თუმცა „სკიტას" ახლა გაცილებით მომატებული აქვს — მან ხომ გასული სეზონის მეორე ნახევარი ევროპის უძლიერეს, ესპანურ პრიმერადივიზიონში გაატარა.

**ირაკლი პერტაია**

# მოსკოვის შვიდკაცა 7-8 ივლისი



გიორგი კაჭარავა და დანარჩენი ქართველები რუმინელებთანაც დამარცხდნენ

# ექსპერიმენტმა არ გაამართლა

**მოსკოვში** გუშინ დასრულებული ევროპის შვიდკაცას ფინალურ ეტაპზე საქართველოს ნაკრებმა მეშვიდე ადგილი დაიკავა. რაც საქართველო საშვიდკაცო ევროტურნირებზე რაგბობს, წლევანდელი სეზონი ყველაზე უბარაქოა.

როგორც თავში ვთქვით, ევროპული შვიდკაცას ფინალური ეტაპი მოსკოვში გაიმართა. ეს ტრადიციაა და რუსეთის მთავარქალაქმა ევროსეზონის შესაჯამებელ ეტაპს უკვე მეექვსედ უმასპინძლა. წინა ეტაპებისგან განსხვავებით, ამჯერად მოსკოვში არ უშვიდკაცია ტურნირის უცვლელ ჩემპიონს, პორტუგალიას. ლათინოსებს 15-კაცა რაგბიში შემოდგომაზე გასამართი მსოფლიოს თასის გამო დავთრები აერიათ და საშვიდკაცო საბრძოლო რაზმი რომ ვერ შეაკოწიწეს, შერცხვენას მოსკოვში ჩაუსვლელობა ამჯობინეს. ამით ტურნირს ლამის მთავარი ფავორიტი გამოაკლდა, მაგრამ ქართველებმა ვერც ამით იხეირეს.

თავიდან ჩვენებისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო. ექსგუნდა ჯგუფში ექსპერიმენტული შემადგენლობით მოთამაშე ქართველებმა მოჯრით მოუგეს უკრაინას და იტალიას. სხვათა შორის, თბილისური ეტაპის არ იყოს, უკრაინის ნაკრებში კვლავ ითამაშეს „ოდესის“ ქართველმა ლეგიონერებმა გიორგი გეგიძემ და გიორგი თოდრაძემ. ჯგუფის მესამე მატჩში ერთი შეხედვით შემთხვევით, ჩვენებმა ესპანელებთან წააგეს და ლიტვის დამარცხების შემდეგ მოლდოვასთან მოგებალა რჩებოდა, მაგრამ... მოულოდნელად, ქართველები დამარცხდნენ კი არა, განადგურდნენ და თასისთვის ბრძოლას გამოეთიშნენ.

მოლდოვა საერთოდ ტურნირის აღმოჩენა შეიქნა, ჯგუფში გაპირველდა და მეორეადგილოსან ესპანეთთან ერთად პლეი ოფშიც გავიდა. ჩვენებმა კი ვერც საპატიო მე-5 ადგილი დაიკავეს, რადგან იქ რუმინეთთან წააგეს და კიდევ კარგი, პოლონეთს სძლიეს, თორემ უფრო დაქვეითდებოდნენ.

**ბაჩო სვანიძე**

7 ივლისი. შაბათი

**ჯგუფური ეტაპი**

რუსეთი 36:0 ანდორა
ესპანეთი 33:10 ლიტვა
გერმანია 7:14 რუმინეთი
საქართველო 31:0 უკრაინა
საფრანგეთი 31:7 პოლონეთი
იტალია 17:17 მოლდოვა
რუმინეთი 26:5 ანდორა
უკრაინა 26:0 ლიტვა
რუსეთი 31:5 პოლონეთი
ესპანეთი 14:28 მოლდოვა
საფრანგეთი 26:5 გერმანია
საქართველო 24:12 იტალია
პოლონეთი 38:14 ანდორა
მოლდოვა 40:17 ლიტვა
საფრანგეთი 12:10 რუმინეთი
იტალია 19:17 უკრაინა
რუსეთი 36:7 გერმანია
საქართველო 7:21 ესპანეთი
რუმინეთი 14:19 პოლონეთი
უკრაინა 19:26 მოლდოვა
გერმანია 28:7 ანდორა
საქართველო 22:7 ლიტვა
რუსეთი 19:7 საფრანგეთი
იტალია 0:21 ესპანეთი

8 ივლისი. კვირა

**ჯგუფური ეტაპი**

გერმანია 10:42 პოლონეთი
საქართველო 14:40 მოლდოვა
რუსეთი 28:19 რუმინეთი
ესპანეთი 14:5 უკრაინა
საფრანგეთი 33:12 ანდორა
იტალია 34:7 ლიტვა

**A ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 5 | 5 | 0 | 0 | +115 | 10 |
| საფრანგეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +47 | 8 |
| პოლონეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +9 | 6 |
| რუმინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | -21 | 4 |
| გერმანია | 5 | 1 | 0 | 4 | -23 | 2 |
| ანდორა | 5 | 0 | 0 | 4 | -115 | 0 |

**B ჯგუფი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოლდოვა | 5 | 4 | 1 | 0 | +62 | 9 |
| ესპანეთი | 5 | 4 | 0 | 1 | +56 | 8 |
| საქართველო | 5 | 3 | 0 | 1 | +18 | 6 |
| იტალია | 5 | 2 | 1 | 2 | -29 | 4 |
| უკრაინა | 5 | 1 | 0 | 4 | -12 | 2 |
| ლიტვა | 5 | 0 | 0 | 5 | -101 | 0 |

**პლეი ოფი**

მე-9-12-ე ადგილებისთვის
გერმანია 31:7 ლიტვა
ანდორა 0:49 უკრაინა
მე-5-8-ე ადგილებისთვის
პოლონეთი 24:33 იტალია
საქართველო 5:14 რუმინეთი
მე-11 ადგილისთვის
ლიტვა 26:17 ანდორა
მე-9 ადგილისთვის
გერმანია 21:31 უკრაინა
მე-7 ადგილისთვის
საქართველო 32:7 პოლონეთი
მე-5 ადგილისთვის
რუმინეთი 35:19 იტალია
ნახევარფინალი
რუსეთი 45:0 ესპანეთი
საფრანგეთი 42:7 მოლდოვა
მე-3 ადგილისთვის
ესპანეთი 12:17 მოლდოვა

**ფინალი**

რუსეთი 35:10 საფრანგეთი


ეროვნული ბიბლიოთეკა

მალხაზ ჭეიშვილს სიის შეთხელება მოუწევს

# თბილისური არითმეტიკა
## 37-ს 7 უნდა გამოაკლდეს

**დღეს** საქართველოს ნაკრები 37-კაციანი შემადგენლობით სასტუმრო „შერატონ მეტეხში“ შეიკრიბება და შემოდგომაზე საფრანგეთში გასამართი მსოფლიოს თასისთვის მზადების მეორე ეტაპს დაიწყებს.

თბილისურ შეკრებაზე ჩვენები ძირითადად ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე იმუშავებენ, მერე კი აგვისტოში საფრანგეთში წავლენ ტრადიციულ ტურნირზე, რომელიც მსოფლიოს თასის წინ მოსათელი რაგბობაა. ანალოგიური ტურნირი ჩვენებმა რუმინეთში უკვე მოილიეს. იცით, ბუქარესტში მსოფლიოს ერთათასი გაიმართა, სადაც „ლელოებმა“ მსოფლიოს თასზე თავიანთი იმთავარ მეტოქეს ნამიბიას მოუგეს, სამხრეთ აფრიკის „მომავლის ნაკრებთან“ ღირსეულად წააგეს და იტალიის „ა“ ნაკრები დაამარცხეს.

თბილისურ შეკრებაზე 37 მორაგბეა გამოძახებული თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდა და ტრავმების პრობლემაც არ იქნება, ჩვენების მთავარი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი სწორედ ამ შემადგენლობიდან შეარჩევს იმ ოცდაათ რაზმელს, სამსოფლიოოსთასო განაცხადში რომ მოხვდება.

**საქართველო თბილისურ შეკრებაზე**

მორკინალები: გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, დავით ზირაქიშვილი, ავთანდილ კოპალიანი, დავით დადუნაშვილი, მამუკა მაგრაქველიძე, დავით გასვიანი, დავით ხინჩაგიშვილი, მამუკა გორგოძე, ილო ზედგინიძე, ლევან დათუნაშვილი, ზურაბ მჭედლიშვილი, ვიქტორ დიდებულიძე, ილო მაისურაძე, ზვიად მაისურაძე, გია ლაბაძე, ბესო უდესიანი, რატი ურუშაძე, გიორგი ჩხაიძე, დავით ბოლლაშვილი, შალვა სუთიაშვილი.

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, გიორგი კაჭარავა, მერაბ კვირიკაშვილი, თემურ სოხაძე, ოთარ ბარკალაია, პალიკო ჯიმშელაძე, ირაკლი მაჩხანელი, გიორგი შკინინი, ბესიკ ხამაშურიძე, ოთარ ელოშვილი, გიორგი ელიზბარაშვილი, ირაკლი გიორგაძე, დავით კაჭარავა, რევაზ გიგაური, მალხაზ ურჯუკაშვილი.

# სამი ერი 2007
# შინმიუსვლელები
## ავსტრალიამ ბოლო გრეგან-ლარქემული ნახა

7 ივლისი. სიდნეი

**ავსტრალია 25:17 სამხრეთ აფრიკა**

ავსტრალია: ჰუქსლი, ჯერარდი, მორტლოკი (კაპ), ჟიტუ, ეშლი-კუპერი; ლარქემი, გრეგანი; ჰოილისი, სმიტი, ელსომი, ვიკერმანი, შარპი, შეფერდსონი, ფრეიერი, დანინგი

სათადარიგოები: ჰარდმანი, ბაქსტერი, მაკმენიმანი, ლაიონზი, ვუ, სტენიფორდი, მიტჩელი

ვლ: ჯერარდი, ჰოილისი, ჟიტუ; 2გ: მორტლოკი; 2ს: მორტლოკი

სამხრეთ აფრიკა: ფორჩუნი, პოლსი, მიურეი, ოლივერი, პიტერსენი; ჰაუხარდი, პინარი; სკინსტადი (კაპ), ვანენბურგი, ფან ჰეერდენი, მიულერი, აკერმანი, ი. დიუ პლესი, გ. ბოთა, ფან დერ ლინდე

სათადარიგოები: ბ. დიუპლერი, ენდრიუსი, ვან დენ ბერგი, კრონჯე, კლაასენსი, გრანტი, პრეტორიუსი

2ლ: ვან ჰეერდენი, პოლსი; 2გ: ჰაუხარდი; 1ს: ჰაუხარდი

**სიდნეის** პირთამდე სავსე ოლიმპიურმა სტადიონმა „ტელსტრამ“ ავსტრალიური და ზოგადად მსოფლიო რაგბის ორი ცოცხალი ლეგენდა გააცილა. 34 წლის ჯორჯ გრეგანი და 33-ის სტივ ლარქემი შინაურ სარბიელზე ბოლო შეხვედრას ატარებდნენ და ხალხმა მათ ნამდვილი ბენეფისი მოუწყო. თვით სამხრეთაფრიკელებმაც კი საკადრისი პატივი მიაგეს მეტოქეებს, რომლებსაც ბოლო 10 წლის განმავლობაში სადაც მოიხელთებდნენ, იქ წიხლავდნენ, რაკილა გრეგან-ლარქემის დუეტია ავსტრალიის ბოლო წარმატებების, განსაკუთრებით 1999 მსოფლიოს ჩემპიონობის შემოქმედი. ნაკრებში 133 კეპის მოხვეჭი გრეგანი და სიდნეიში ნაკრების მაისურით ზუსტად მე-100-ედ მოთამაშე ლარქემი მსოფლიოს თასის შემდეგ დაასრულებენ კარიერას და შინ თამაში აღარ მოუწევთ.

სამხრეთაფრიკელები სიდნეიში ლამის მეორე შემადგენლობით ჩავიდნენ. აკლდათ კაპიტანი ჯონ სმიტი, ვიცე-კაპიტანი ვიქტორ მეტფილდი, გიგანტი ბაკიზ ბოთა, საშინელი სხალკ ბურხერი, ცქვიტი ბრაიან ჰაბანა, გამოცდილი პერსი მონგტომერი და კიდევ მრავალი ყოჩაღი ჯეელი. მწვრთნელმა ჯეკ ვაიტმა კაპიტნობა ბობ სკინსტადს ჩააბარა, რომელიც ამ ამპლუაში 1999 წლის მსოფლიოს თასზე იყო და ნაკრებში დააბრუნა დერკ ჰაუხარდი, რომელმაც 2003 წლის მსოფლიოს თასზე სულ ყმაწვილმა ითამაშა, მერე კი მიივიწყეს და ახლაღა უხმეს ნაკრებში. ძირითადში ითამაშა ბებერმა ბრეიტონ პოლსმაც.

და აი, ასეთმა სამხრეთ აფრიკამ გვარიანად აწერვიულა ლეგენდარული დუეტის ბენეფისისთვის გამზადებული ოზები. ფან ჰეერდენმა და პოლსმა 9 წუთში ორი ლელო გაშანსეს, ჰაუხარდმა ორივე გარდასახა, ზედაც საჯარიმოც წაამატა და საწყის 15 წუთში „ქურციკები“ 17:0 დაწინაურდნენ. მაგრამ სენსაცია არ გამოცხვა, მასპინძლებმა სტუმრებს ქულა აღარ აღებინეს, თავად კი სამი ლელო გაიტანეს და 26:17 ანგარიშით გააცილეს ლეგენდარული ნახევარმცველები.

**კოტე ყორშია**

ბიბლიოთეკა

# ბრინჯაოსფერი შავი ზღვა

შაბათს ტრაპიზონში შავი ზღვის ქვეყნების პირველი თამაშები დასრულდა. ბოლო დღეს ქართველებმა სპორტის ხუთ სახეობაში ცამეტი მედალი მოიპოვეს — ხუთი ვერცხლის და რვა ბრინჯაოსი. როგორც ხედავთ, ამ 13 მედალში ოქრო არ იყო და ამიტომაც კომპლექსურ ჩათვლაში ქართულმა დელეგაციამ ვეღარც აზერბაიჯანს გაუსწრო, რუმინეთიც წინ გაუშვა და მეშვიდე ადგილზე გავიდა.

სულ ტრაპიზონში ქართველებმა 6 ოქროს, 8 ვერცხლისა და 20 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩვენების მონაგარში ლომის წილი მოჭიდავეებმა დაიდეს — ბერძნულ-რომაული და კლასიკური სტილის მიმდევრებმა ჯამში 5 ოქრო, 5 ვერცხლი და 6 ბრინჯაო წამოიღეს თურქეთიდან. 1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მძლეოსნების ანგარიშზეა. დანარჩენი 12 ბრინჯაოს მედალი კი ტაეკვანდოისტებზე (7), მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატებსა (4) და მშვილდოსნებზე (1) მოდის

## ჭიდაობა

თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ბოლო ხუთ წონაში ოთხი მედლის აღება მოახერხეს. აქედან სამი ვერცხლისაა, ერთიც ბრინჯაოსი. კვარცხლბეკს მიღმა მხოლოდ 100 კილოგრამში მოჭიდავე ვალერიან გზირიშვილი დარჩა, რომელმაც პირველივე შეხვედრა წააგო ბერძენ კონსტანტინოს ათინაიოსთან.

თორნიკე ბურჯალიანმა (50 კგ) მეოთხედფინალში რუმინელი რობერტ ბუკსა ჩამოიცილა, ნახევარფინალში — სომეხი დავით გაგინიანი, ფინალში კი რუს სურენ ბუდაევთან წააგო.

თენგიზ ჩოჩიშვილს (58კგ) და გიორგი ჩიტაშვილსაც (85კგ) რუსებმა მოუგეს გადამწყვეტი ბრძოლები. საერთოდაც, ხუთივე წონაში ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა იჩემპიონეს.

ჩოჩიშვილმა თემურ ჯანაევთან მარცხამდე ალბანელ ერვისტ მეტსას და თურქ მეჰმეთ ოკაის აჯობა, ხოლო ჩიტაშვილმა შამილ ახმედოვამდე აზერბაიჯანელი ორხან ასკაროვი და ბერძენი ალექსანდროს ბუტაკიდისი დაამარცხა.

რევაზ ჯანელიძე (69 კგ) ბერძენი პანაგიოტის პეგკუნისის ძლევის შემდეგ ნახევარფინალში თურქმა ვოლკან ბილგინმა შეაჩერა, რეპეშაჟის ფინალში კი მოლდოველი საცულტან იანიჩთან მოგებით გაინაღდა ბრინჯაო.

## ტაეკვანდო

ბოლო დღეს ოთხი ქართველი გავიდა ხალიჩაზე და სამი პირველსავე წრეში დამარცხდა. თუმცა 51 კილოგრამიან ლევან პერტიას პირდაპირ ნახევარფინალიდან უწევდა ტურნირის დაწყება და ბრინჯაოს მედლის მოსაპოვებლად წაგებაც ეყო. გამარჯვებას გემო მხოლოდ გიორგი სანაიამ (63 კგ) გაუსინჯა. მეოთხედფინალში მან რუმინელ ოქტავიან ჩირიაკს დაძაბულ ბრძოლაში 12:11 აჯობა. ნახევარფინალში კი აზერბაიჯანელ ნიჯათ ჯავადოვთან 0:7 წააგო და მესამე ადგილზე გავიდა.

## მხატვრული ტანვარჯიში

მრავალჭიდში მოგებულ ბრინჯაოს ქეთი ხატიაშვილმა ცალკეულ დისციპლინებში სამი ბრინჯაოც მიამატა. იგი კვარცხლბეკზე ლენტით, სახტუნელათი და რგოლით ვარჯიშებში ავიდა, გურზებით კი საპრიზომდე ერთი საფეხური დააკლდა. ქართველის მთავარი კონკურენტი აზერბაიჯანელი ზეინაბ ჯავადლი იყო. სწორედ მან და ქეთიმ გაინაწილეს ცალკეული დისციპლინების ბრინჯაოები, ოქრო-ვერცხლი კი რუსებმა ირგუნეს. ევგენია კანაევამ მრავალჭიდის ჩემპიონობას ოთხი ოქროც მიაყოლა. დარია კონდაკოვამ კი ჯამში ხუთ ვერცხლს მოუყარა თავი.

## მშვილდოსნობა

გუნდურ პირველობაში ქართველი გოგონები მესამე ადგილზე გავიდნენ. მეოთხედფინალში მათ რუმინეთს 163:162 მოუგეს, ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ რუსეთის ნაკრებთან 169:189 დამარცხდნენ, ბრინჯაოს მედალი კი საბერძნეთთან გაინაღდეს — 179:169.

ბიჭების გუნდი პირველსავე მეტოქესთან, მოლდოვასთან 32-ქულიანი სხვაობით დამარცხდა — 173:205.

## კალათბურთი

შავი ზღვის თამაშები ვაჟთა ნაკრებმა ერთი გამარჯვებით დაასრულა, მაგრამ ბოლო ადგილისგან თავის დაღწევაში ვერც ამან უშველა. მეშვიდე ადგილისთვის მატჩში ქართველები იმ აზერბაიჯანთან დაიჩაგრნენ, რომელსაც ჯგუფურ ეტაპზე 18-ქულიანი სხვაობით რომ მოუგეს.

გადამწყვეტ შეხვედრაში ჩვენებურებმა ყოჩაღად მხოლოდ პირველი პერიოდი ჩაატარეს და 19:10 მოიგეს. მომდევნო სამი ათწუთეული კი დათმეს (14:16 11:21 21:23) და ჯამში 65:70 წააგეს. ჩემპიონი რუსეთი გახდა, რომელმაც ფინალში საბერძნეთს 78:67 სძლია. ბრინჯაოს მედლისთვის კი მასპინძლებმა უკრაინას 88:84 მოუგეს.

## ფრენბურთი

გოგონების გუნდს ბოლოსწინა, მეშვიდე ადგილის დასაკავებლად რუმინეთის დამარცხება სჭირდებოდა, მაგრამ მეტოქეს ერთი პარტიაც კი ვერ აართვა — 0:3 (21:25 15:25 23:25).

მედლებისთვის შეხვედრებიც მშრალი ანგარიშებით დასრულდა ოქრო თურქეთმა მოიპოვა, ვერცხლი — ბულგარეთმა, ხოლო ბრინჯაო — რუსეთმა.



სიმაღლეზე მხტომელმა ლიკა დვალიშვილმა (მარცხნივ) თურქებთან ბრძოლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა

## მძლეოსნობა

თამაშების ბოლო დღეს ქართველმა მძლეოსნებმა ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

გოგონათა შორის ბადროს ტყორცნაში მეორე იყო სალომე რიგიშვილი. სალომეს, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთი ხეირიანი ცდა გამოუვიდა და ბადრო 43,42 მეტრზე გატყორცნა. გამარჯვებულს, რუს ეკატერინა ბურმისტროვას ქართველი 67 სანტიმეტრით ჩამორჩა.

მეორე ადგილზე გავიდა 2000 მეტრზე წინაღობებით სირბილში ნათია გელაშვილი. ეს ურთულესი დისტანცია მან 7 წუთსა და 28,94 წამში დაფარა.

ბრინჯაოს მედელი ენდრიკ ზილბერშტეინმა ირგუნა 400 მეტრზე სირბილში. ახალციხელმა ათლეტმა სტადიონის ერთ წრეს 49,81 წამში შემოურბინა.

ახლოს იყო მედალთან და მეოთხე ადგილს დასჯერდა გიგლა ზილბერშტეინი, რომელმაც 1500 მეტრი 4 წუთსა და 6,07 წამში დაფარა.

გოგონათა სამხტომში 11,43 მეტრი შედეგით ასევე მეოთხე იყო ქრისტინე შალამბერიძე, ვისაც ბრინჯაოს მედლამდე 4 სანტიმეტრი დააკლდა.

## ცურვა

მოცურავეთა შეჯიბრი ჩვენი სპორტსმენებისთსვის უმედლოდ დასრულდა, თუმც ტურნირის ბოლო დღეს ორნი — გიორგი მთვრალაშვილი და ალექსანდრე ჩაჩანაშვილი ახლოს იყვნენ მიზანთან. კერძოდ, მთვრალაშვილს 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 2.17,89 წუთით მესამე ადგილამდე 0,24 წამში დააკლდა და ასევე მეოთხე ადგილი დაიკავა ჩაჩანაშვილმაც, რომელმაც 200 მეტრი ბრასით 2 წუთსა და 32,59 წამში დაფარა.

## ველორბოლა

ქართველ ველოსიპედისტ ნოდარ ყვავაძეს ხუთეტაპა ველოტურში სულ რაღაც 6 წამი დააკლდა ბრინჯაოს მედლამდე.

ყვავაძე ხუთივე ეტაპზე უაღრესად სტაბილური იყო. შაბათს მან მეექვსე ადგილი დაიკავა ეტაპის გამარჯვებულთან, თურქ სემით აკიელთან 10-წამიანი ჩამორჩენით და გენერალურ კლასიფიკაციაში მეოთხე ადგილზე გავიდა.

ყვავაძის საბოლოო დრო 13 საათი, 4 წუთი და 3 წამია და მესამეადგილოსან ბერძენ გეორგიას ბუგლასს ქართველი, როგორც ვთქვით, ოდენ 6 წამით ჩამორჩა, ხოლო მეორე ადგილზე გასულ რუმინელ იონელ რუსუს — 10 წამით. ჩემპიონი კი თურქი მუსტაფა საიარი გახდა.

საერთო ჩათვლაში მე-10 ადგილზე გავიდა კოტე ალავერდაშვილი. დავით ასკურავა 23-ე იყო, ამირან სვანაძე — 31-ე, ხოლო ვიქტორ ერიოხინი ბოლო, 33-ე ადგილით დაკმაყოფილდა.

**ოთარ მხეიძე**

### მედლების მონაგარი

| | ო | ვ | ბ | |
|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 86 | 57 | 31 | 174 |
| თურქეთი | 39 | 40 | 41 | 120 |
| უკრაინა | 21 | 23 | 12 | 56 |
| საბერძნეთი | 15 | 23 | 51 | 89 |
| რუმინეთი | 10 | 15 | 29 | 54 |
| აზერბაიჯანი | 9 | 7 | 11 | 27 |
| საქართველო | 6 | 8 | 20 | 34 |
| მოლდოვა | | 3 | 15 | 18 |
| სომხეთი | | 2 | 10 | 12 |
| ბულგარეთი | - | 2 | 3 | 5 |
| ალბანეთი | - | 2 | 1 | 3 |



ნოდარ ყვავაძეს (მარცხნიდან მეორე) მედლამდე 6 წამი დააკლდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უიმბლდონი 2007. ბალახი საპრიზო 11 282 710 £



## ვინუს უილიამსი

დაიბადა 1980 წლის 17 ივნისს ლინვუდში (კალიფორნია, აშშ). ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე. ცხოვრობს პალმ ბიჩ გარდენში (ფლორიდა, აშშ). სიმაღლე 185 სმ. წონა 72კგ. პროფესიონალია 1994 წლიდან, კარიერაში მოპოვებული აქვს ერთეულთა 35 (მათ შორის 6 დიდი სლემის: უიმბლდონი — 2000-01, 2005, 2007; ამერიკის ღია პირველობა — 2000-01) და წყვილთა 10 (მათ შორის 6 დიდი სლემის) ტიტული. ჩატარებული 540 მატჩიდან 435 მოიგო და 105 წააგო. უიმბლდონის დაწყებისთვის იყო WTA-ს რეიტინგის 31-ე ნომერი. 2002 წლის 25 თებერვალს პირველად გახდა კლასიფიკაციის მონინავე. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 17,5 მილიონი დოლარი.

### უილიამსი 2007 წლის უიმბლდონზე

| | | |
|---|---|---|
| პირველი წრე | უილიამსი — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) | 2:6 6:3 7:5 |
| მეორე წრე | უილიამსი — ჰანა შრომოვა (ჩეხეთი) | 6:2 6:2 |
| მესამე წრე | უილიამსი— აკიკო მორიგამი (იაპონია) | 6:2 3:6 7:5 |
| მეოთხე წრე | უილიამსი — მარია შარაპოვა (2, რუსეთი) | 6:1 6:3 |
| მეოთხედფინალი | უილიამსი — სვეტლანა კუზნეცოვა (5, რუსეთი) | 6:3 6:4 |
| ნახევარფინალი | უილიამსი — ანა ივანოვიჩი (6, სერბეთი) | 6:2 6:4 |
| ფინალი | უილიამსი — მარიონ ბარტოლი (18, საფრანგეთი) | 6:4 6:1 |



## როჯერ ფედერერი

დაიბადა 1981 წლის 8 აგვისტოს ბაზელში (შვეიცარია), შვეიცარიის მოქალაქე. ცხოვრობს ობერვილში (შვეიცარია). სიმაღლე 185 სმ. წონა 81 კგ. პროფესიონალია 1998 წლიდან. კარიერის მანძილზე მოპოვებული აქვს ერთეულთა 49 (მათ შორის 11 დიდი სლემის: უიმბლდონი — 2003-07. ავსტრალიის ღია პირველობა — 2004, 2006-07. აშშ-ის ღია პირველობა— 2004-06), წყვილთა 7 ტიტული. ჩატარებული 649 მატჩიდან 519 მოიგო და 130 წააგო. ATP-ს რეიტინგის პირველი ნომერია 2004 წლის 2 თებერვლიდან. საპრიზოების სახით გამოიმუშავა 32,3 მილიონი დოლარი.

### ფედერერი 2007 წლის უიმბლდონზე

| | | |
|---|---|---|
| პირველი წრე | ფედერერი — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) | 6:3 6:2 6:4 |
| მეორე წრე | ფედერერი — ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა) | 6:2 7:5 6:1 |
| მესამე წრე | ფედერერი — მარატ საფინი (26, რუსეთი) | 6:1 6:4 7:6 |
| მეოთხე წრე | ფედერერი — ტომი ჰაასი (13, გერმანია) | უარი |
| მეოთხედფინალი | ფედერერი — ხუან კარლოს ფერერო (20, ესპანეთი) | 7:6 3:6 6:1 6:3 |
| ნახევარფინალი | ფედერერი — რიშარ გასკე (12, საფრანგეთი) | 7:5 6:3 6:4 |
| ფინალი | ფედერერი — რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) | 7:6 4:6 7:6 2:6 6:2 |

# ფედერერი აზორგდა

**სტატუს-კვო** შენარჩუნდა. რაფაელ ნადალი „მხოლოდ" გრუნტის მეფედ დარჩა, ბალახი კი ისევ როჯერ ფედერერის ეპარქიაა. ეს ყველაფერი გუშინ გაირკვა, როცა დიადმა ალპელმა უდაძაბულეს ბრძოლაში გამოგლიჯა გამარჯვება ესპანელ ვარსკვლავბიჭუნას და ზედიზედ მეხუთე უიმბლდონი მოიგო. ამით შვეიცარიელი კიდევ ერთ დიად კაცს, ლეგენდარულ ბიორნ ბორგს გაუტოლდა, ვისაც „სრულიად ინგლისის მდელოს ჩოგბურთისა და კროკეტის კლუბის" კორტებზე 1976-1980 წლებში არ ჰყავდა ბადალი. ამის შემდეგ ფედერერმა საერთოდ ვერაფერი რომც ვერ მოიგოს, იგი უკვე ისეთ კომპანიაშია, რომელში შესვლაც მხოლოდ ერთეულების ხვედრია.

ფედერერს უიმბლდონზე ასე არასდროს უწვალია ასეთი ბრძოლა მისთვის აქამდე არავის გაუმართავს, მაგრამ „მხიარულმა როჯერმა" ამ გამოცდას წარმატებით გაართვა თავი და კარიერაში მე-11 სლემტურნირი მოიგო. თავად ალპელისთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის არის, რომ მან თავის პრინციპულ, კოშმარად ქცეულ მეტოქეს აჯობა და ამით ნაწილობრივ მაინც იძია შური "როლან გაროსის" ფინალში ერთი თვის წინანდელი მარცხისთვის.

თუმც ეს ყველაფერი — ფედერერის მიღწევები და მომხდარი მოვლენის მნიშვნელობა — მაინც ფერმკრთალდება უშუალოდ ამ მატჩის სილამაზესთან. ასეთი რამ კარგა ხანია, ჩოგბურთის მოყვარულს არ უნახავს — ამდენად თანაბარი, დაძაბული, დამაინტრიგებელი და უმაღლესი დონის თამაში, როცა ჩოგბურთელები სასწაულებს სჩადიოდნენ კორტზე და უძლიერესი დარტყმებითა თუ ულამაზესი კომბინაციებით აღტაცებაში მოჰყავდათ იქ შეკრებილი თუ ტელეეკრანებთან მჯდომი მაყურებელი.

მატჩმა მართლაც ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა და ამაში ლომის წვლილი რაფაელ ნადალს მიუძღვის, რომელმაც ბალახზე აქამდე დომინანტ ფედერერს ნამდვილი ომი გაუმართა. ეს იყო ოსტატისა და მებრძოლის ჯახი, სადაც შვეიცარიელი ჩვეულად ლაღი ჩოგბურთითა და კლასით ცდილობდა, თავისი გაეტანა, მაშინ, როცა ესპანელი კორტზე საომრად იყო გასული და ნებისმიერი ბურთისთვის, ყოველი გოჯისთვის თავგამოდებული იბრძოდა. ეს იყო დიდი შოუ, სადაც ნადალი ფანტასტიკური ფიზიკური მომზადების ხარჯზე ანეიტრალებდა მეტოქის უპირატესობას ტექნიკაში და რიგ მომენტებში ჯაბნიდა კიდეც თანამედროვეების პირველკაცს.

ეს განსაკუთრებით მეოთხე სეტში გამოჩნდა, როცა ფედერერს დაღლასავით დაეტყო. ამ დროისთვის ალპელი წინ იყო — ცივსისხლიანობისა და უკეთესი მოწოდების წყალობით ორ ტაიბრეიკზე იხეირა, რასაც ნადალმა ერთი მოგებული სეტით უპასუხა. მეოთხე პარტიაში კი ნადალმა ფრენა დაიწყო და აქ სერიოზულად ალბათ პირველად დავფიქრდით იმაზე, რომ ალპელს შეიძლება წაეგო. მართლაც, ხუთსეტიან მატჩებს "მხიარულ როჯერი" ყოველთვის ძნელად იტანდა, ნადალს კი დაღლისა არაფერი ეტყობოდა.

მერე გამოჩნდა, რომ ნადალის ფიზიკურ შესაძლებლობებსაც ჰქონია ზღვარი. ესპანელს მუხლი ასტკივდა და დაეტყო, რომ ველარ იყო ჩვეულ იშტაზე — ექიმსაც დაუძახა და გასახდელში შესვლაც ითხოვა. თუმც საშველი არ ჩანდა და რაფას აშკარად უჭირდა, რადგანაც ჩვეულად ყველა ბურთს ვეღარ მისდევდა. ამის მიუხედავად, მეხუთე სეტში მალიორკელს თავისი შანსები მაინც ჰქონდა, როცა ორჯერ ორმაგი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა და რომ გამოეყენებინა, ფედერერი კატასტროფის წინაშე დაგდებოდა. თუმც ესპანელმა თავისი შანსები გაანიავა, "მხიარულმა როჯერმა" კი საპასუხოდ აიღო ესპანელის მოწოდება და ყველაფერი სწორედ იქ გადაწყდა.

მერე კი ის იყო, რაც უკვე ზედიზედ მეხუთედ ვნახეთ — ფედერერის ემოციები, წაგებულის თავაზიანობა და მაყურებლის შეუჩერებელი აპლოდისმენტები.

ერთი დღით ადრე კი ვინუს უილიამსმა ორი წლის წინანდელი გაიმეორა და ისევ ისე იჩემპიონა, რომ მისგან ამდგავარს არავინ მოელოდა. ამერიკელმა ტურნირის მეორე ნახევარი ერთი ამოსუნთქვით გაიარა და მეოთხე უიმბლდონი მოიგო.

ისე, უილიამსს ჩემპიონობას უკვე პარასკევს ულოცავდნენ, მაშინ, როცა ჟუსტინ ენინი ნახევარფინალში მოულოდნელად დამარცხდა მარიონ ბარტოლისთან. ფრანგმა წლეულს უიმბლდონზე დიდებული თამაში კი აჩვენა და ენინის გარდა მსოფლიოს მესამე ჩოგანი ელენა იანკოვიჩიც წააქცია, მაგრამ იმაში, რომ ვინუსის ტოლ-სწორი არ იყო, ეჭვი არავის ეპარებოდა. ამერიკელმა ეს შაბათს საათნახევარში საქმით დაამტკიცა და ბარტოლის სასტიკად გადაუარა — ეგ კი არა, მატჩის ბოლოს ამერიკელის გიჟური მოწოდებების ძლივძლივობით მომგერიებელი ფრანგი დაბუჟებულ ხელებს იზელდა და გვარიანად შეშინებულადაც გამოიყურებოდა.

**ჭაჭა ლომჯაშვილი**

## უიმბლდონ-2007-ის ყველა ფინალი

**კაცები** როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია)— რაფაელ ნადალი (2, ესპანეთი) 7:6 4:6 7:6 2:6 6:2

**ქალები** ვინუს უილიამსი (23, აშშ) — მარიონ ბარტოლი (18, საფრანგეთი) 6:4 6:1

**კაცთა წყვილები** არნო კლემანი, მიშელ ლოდრა (10, ორივე საფრანგეთი) — ბობ ბრიანი, მაიკ ბრიანი (1, ორივე აშშ) 6:7 6:3 6:4 6:4

**ქალთა წყვილები** სარა ბლექი, ლაიზელ ჰუბერი (2, ზიმბაბვე, სამხრეთ აფრიკა) — კატარინა სრებოტნიკი, აი სუგიამა (4, სლოვენია, იაპონია) 3:6 6:3 6:2

**შერეული წყვილები** ელენა იანკოვიჩი, ჯიმი მარეი (სერბეთი, ბრიტანეთი) — იონას ბიორკმანი, ალისია მოლიკი (5, შვედეთი ავსტრალია) 6:4 3:6 6:1

**ჭაბუკები** დონალდ იუნგი (3, აშშ) — ვლადიმირ იგნატიჩი (1, ბელარუსი) 7:5 6:1

**გოგონები** ურსულა რადვანსკა (6, პოლონეთი) — მედისონ ბრენქლი (7, აშშ) 2:6 6:3 6:0

**ჭაბუკთა წყვილები** დანიელ ლოპესი, მატეო ტრევიზანი (7, ორივე იტალია) — რომან ჟებაკი, მარტინ კლიმანი (ჩეხეთი, სლოვაკეთი) 7:6 4:6 (10:8)

**გოგონათა წყვილები** ანასტასია პავლიუჩენკოვა, ურსულა რადვანსკა (1, რუსეთი, პოლონეთი) — მისაკი დოი, კორუმი ნარა (ორივე იაპონია) 6:4 2:6 (10:7)

ეროვნული ბიბლიოთეკა

FORMULA 1 WORLD

**ფორმულა 1. 58-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. მეცხრე ეტაპი**

# ჰემილტონსტოუნამდე ჯერ კიდევ ადრეა




**ინგლისელ** მეფორმულეებს 12 წელია, მშობლიური დიდი პრიზი ველარ მოუგიათ. ალბიონელ ფანებს ახალ საუკუნეში ჯენსონ ბატონის იმედი ჰქონდათ, მაგრამ „მომავლის ჩემპიონი", ლეგენდარულ „სილვერსტოუნზე" უკვე რვაჯერ გაჯირითების მიუხედავად, ერთხელაც ვერ შედგა პოდიუმზე.

ბრიტანელ ქომაგებს მიმდინარე სეზონში ამ გაჭიანურებული უხეირობის შეწყვეტის ეიმედებოდათ და ამიტომაც, ჯერ კიდევ შაბათს, კვალიფიკაციისას, „ვერცხლის ქვის" ტრიბუნები გადავსებული იყო — საპოულე ბრძოლას 80 000 მაყურებელი დაესწრო. ამგვარი აჟიოტაჟი 22 წლის დებიუტანტ ლუის ჰემილტონის გაუგონარმა წარმატებამ გამოიწვია. შავკანიანი ინგლისელი სილვერსტოუნში ჩემპიონატის ლიდერად და რბოლის ფავორიტის რანგში ჩავიდა. მას „სამეფო გვირგვინის მოპოვების რეალური შანსი აქვს და რა გასაკვირია, თუ მთელი ბრიტანეთი „ჰემილტონომანიამ" მოიცვა. მეტიც, ეტაპსაც მისი სახელი შეარქვეს — სილვერსტოუნის კი არა, „ჰემილტონის გრან პრი".

საკვალიფიკაციო გაჯიბრება ფავორიტების — „მაკლარენისა" და „ფერარის" — აშკარა უპირატესობით აღინიშნა. სუპერკვარტეტის დავაში ვერავინ ჩაერია, თავად ფავორიტთა შორის კი ბოლომდე დაძაბული ბრძოლა მიდიოდა. დასკვნითი, მესამე ნაწილის ბოლო წუთზე სამჯერ შეიცვალა სალიდერო დრო, ჯერ ფერნანდო ალონსომ გააუმჯობესა თავისივე შედეგი, კიმი რაიკონენმა ფინიშისწინა მოსახვევში ოდნავ ბალახზე გადასვლის მიუხედავად, მაინც შეძლო ნანდოს ჯობნა, მაგრამ იქვე ჰემილტონმა უნაკლო ცდით ხუთკილომეტრიან წრეს ფინელზე წამის მეათედით უფრო სწრაფად შემოუქროლა და წლეულს უკვე მესამედ მოიგო პოული. ტრიბუნები ოვაციისგან ლამის ჩამოინგრა, ხოლო ჰემის მამამ ენტონიმ პიტლაინზე ბავშვივით ხტუნვა-ცეკვა გამართა.



კიმი რაიკონენმა სეზონში მესამე დიდი პრიზი მოიგო

AFP სილვერსტოუნიდან

ფელიპე მასას სტარტზე არცთუ უხეირო, მეოთხე საფეხური ეკავა, მაგრამ დაძვრის წინ „ფერარის" ძრავა ჩაუქრა და ბრაზილიელი ადგილზე დარჩა. მარშლებმა უსიცოცხლო ბოლიდი ბოქსებისკენ გადააგორეს, ქარავანი კი მეორე გასახურებელ წრეზე წავიდა და ბუნებრივია, რბოლის დისტანციაც ამ ერთი წრით დამოკლდა. ფელიპეს ბოლიდი მალე კი მოასულიერეს, მაგარმ ბრძოლის დაწყება ყველაზე უკან მოუხდა და თავიდანვე დაკარგა წარმატების შანსი. აქვე ვიტყვით, რომ მასამ უხინჯოდ ირბოლა და ფინიშზე მეხუთე მივიდა.

ჰემილტონმა საშშობლოში პირველი რბოლა პირველი პოზიციიდან დაიწყო, ადვილად შეინარჩუნა მეწინავეობა და პირველ საბოქსე შეჩერებამდეც ლიდერობდა, მერე კი ბრძოლის ბედი, შეიძლება ითქვას, უზუსტესად გათვლილ-შესრულებულმა საბენზინე სტრატეგიამ გადაწყვიტა გაიმარჯვა იმან, ვინც კონკურენტებზე მეტხანს დარჩა ტრეკზე და დროის საჭირო მარაგიც შეიქმნა.

საწვავი პირველმა ჰემილტონმა ჩაიმატა, მაგრამ ოდნავ მეტი ხნით შეყოვნდა, რადგან ჩამსხმელებს ბოლიდში შლანგი გაეჭედათ. ლუისმა ამაზე სულ რაღაც ორიოდე წამი დაკარგა, მაგრამ ისე ჩანდა, რომ სწორედ ამის შემდეგ დაეწყო პრობლემები და წინ გავარდნილ დუეტს სულ უფრო შორდებოდა.

პირველი პიტსტოპის შემდეგ ლიდერობა ალონსომ იგდო ხელთ, მაგრამ მეორეს წინ რაიკონენმა ჩემპიონზე ექვსი წრით დიდხანს გაძლო, უპირატესობა 27 წამამდე გაზარდა და ბოქსებიდან ისეთი სხვაობით დაბრუნდა, რომ ნანდოს შებრძოლების შანსიც აღარ მიეცა.

**გია ახალაძე**

## რბოლის შედეგები

**დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი**
**8 ივლისი. სილვერსტოუნი**
დისტანცია 59 წრე — 303,214 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (2) | რაიკონენი (ფერარი) | 1:21.43,1 (222,6 კმ/სთ) |
| 2. | (3) | ალონსო (მაკლარენი) | ჩამორჩა 2,5 |
| 3. | (1) | ჰემილტონი (მაკლარენი) | 39,4 |
| 4. | (5) | კუბიცა (BMW-ზაუბერი) | 53,3 |
| 5. | (4) | მასა (ფერარი) | 54,1 |
| 6. | (9) | ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი) | 56,3 |
| 7. | (7) | კოვალაინენი (რენო) | 1 წრით |
| 8. | (8) | ფიზიკელა (რენო) | 1 წრით |
| 9. | (14) | ბარიკელო (ჰონდა) | 1 წრით |
| 10. | (18) | ბატონი (ჰონდა) | 1 წრით |
| 11. | (12) | კულჰარდი (რედ ბული) | 1 წრით |
| 12. | (17) | როსბერგი (უილიამსი) | 1 წრით |
| 13. | (13) | ვურცი (უილიამსი) | 1 წრით |
| 14. | (22) | სატო (სუპერ აგური) | 2 წრით |
| 15. | (21) | ალბერსი (სპაიკერი) | 2 წრით |
| 16. | (16) | ლიუცი (ტორო როსო) | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (10) | ტრული (ტოიოტა) | გაიარა 43 წრე |
| (19) | დევიდსონი (სუპერ აგური) | 35 |
| (15) | სპიდი (ტორო როსო) | 29 |
| (6) | შუმახერი (ტოიოტა) | 22 |
| (20) | სუტილი (სპაიკერი) | 16 |
| (11) | ვებერი (რედ ბული) | 8 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
ჰემილტონი 1.19,997 (231,4 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
რაიკონენი 1.20,638 (229,5 კმ/სთ)

Formula 1

| | ავსტრალია 18 მარტი | მალაიზია 8 აპრილი | ბაჰრეინი 15 აპრილი | ესპანეთი 13 მაისი | მონაკო 27 მაისი | კანადა 10 ივნისი | აშშ 17 ივნისი | საფრანგეთი 1 ივლისი | დ.ბრიტანეთი 8 ივლისი | გერმანია 22 ივლისი | უნგრეთი 5 აგვისტო | თურქეთი 26 აგვისტო | იტალია 9 სექტემბერი | ბელგია 16 სექტემბერი | იაპონია 30 სექტემბერი | ჩინეთი 7 ოქტომბერი | ბრაზილია 21 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰემილტონი (მაკლარენი, დ. ბრიტანეთი) | 6 | 8 | 8 | 8 | 8 | ■10 | ■10 | 6 | ■6 | | | | | | | | | 70 |
| 2 ალონსო (მაკლარენი, ესპანეთი) | 8 | 10 | 4 | 6 | ■10 | 2 | 8 | 2 | 8 | | | | | | | | | 58 |
| 3 რაიკონენი (ფერარი, ფინეთი) | ■10 | 6 | 6 | – | 1 | 4 | 5 | 10 | 10 | | | | | | | | | 52 |
| 4 მასა (ფერარი, ბრაზილია) | 3 | ■4 | ■10 | ■10 | 6 | – | 6 | ■8 | 4 | | | | | | | | | 51 |
| 5 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი, გერმანია) | 5 | 5 | 5 | – | 3 | 8 | – | 4 | 3 | | | | | | | | | 33 |
| 6 კუბიცა (BMW-ზაუბერი, პოლონეთი) | – | – | 3 | 5 | 4 | – | | 5 | 5 | | | | | | | | | 22 |
| 7 ფიზიკელა (რენო, იტალია) | 4 | 3 | 1 | – | 5 | – | – | 3 | 1 | | | | | | | | | 17 |
| 8 კოვალაინენი (რენო, ფინეთი) | – | 1 | – | 2 | – | 5 | 4 | – | 2 | | | | | | | | | 14 |
| 9 ვურცი (უილიამსი, ავსტრია) | – | – | – | – | 2 | 6 | – | – | – | | | | | | | | | 8 |
| 10 ტრული (ტოიოტა, იტალია) | – | 2 | 2 | – | – | – | 3 | – | – | | | | | | | | | 7 |

როსბერგი — 5, კულჰარდი — 4, სატო — 4, შუმახერი — 2, ვებერი — 2, ფეტელი — 1, ბატონი — 1 ქულა

■ პოულ-პოზიცია

**კონსტრუქტორთა თასი**

| | ავსტრალია | მალაიზია | ბაჰრეინი | ესპანეთი | მონაკო | კანადა | აშშ | საფრანგეთი | დ.ბრიტანეთი | გერმანია | უნგრეთი | თურქეთი | იტალია | ბელგია | იაპონია | ჩინეთი | ბრაზილია | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მაკლარენი | 14 | 18 | 12 | 14 | 18 | 12 | 18 | 8 | 14 | | | | | | | | | 128 |
| 2 ფერარი | 13 | 10 | 16 | 10 | 7 | 4 | 11 | 18 | 14 | | | | | | | | | 103 |
| 3 BMW-ზაუბერი | 5 | 5 | 8 | 5 | 7 | 8 | 1 | 9 | 8 | | | | | | | | | 56 |
| 4 რენო | 4 | 4 | 1 | 2 | 5 | 5 | 4 | 3 | 3 | | | | | | | | | 31 |
| 5 უილიამსი | 2 | – | – | 3 | 2 | 6 | – | – | – | | | | | | | | | 13 |

ტოიოტა — 9, რედ ბული — 6, სუპერ აგური — 4, ჰონდა — 1 ქულა

ველორბოლა

## 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი



# ლონდონში კანცელარა გაყვითლდა

**შაბათს** ლონდონში დიდ ზარ-ზეიმით და რვაკილომეტრიანი პროლოგით გაიხსნა ლეგენდარული და უპრესტიჟულესი ველორბოლა, რიგით 94-ე „ტურ დე ფრანსი“.

ტრაფალგარის მოედნიდან ბუკინგემის სასახლამდე გაჭიმულ, დაზუსტებით რომ ვთქვათ, 7,8 კილომეტრზე ყველაზე სწრაფი იყო ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონი, დანიური CSC-ის შვეიცარიულ მრბოლი ფაბიენ კანცელარა.

როდესაც ვამბობთ, ყველაზე სწრაფი იყოო, ეს არაფერს ნიშნავს, რადგანაც ლონდონის ქუჩებში კანცელარამ ფანტასტიკური სიჩქარით იქროოლა და დანარჩენებს, გერმანელ ანდრეას კლოდნეს თუ არ ჩავთვლით, ასე მცირე მანძილისთვის შეუფერებლად ბევრი, 20 წამზე მეტი მოუგო.

კლოდენი შვეიცარიელს 13 წამით ჩამორჩა. მესამე ამერიკელი ჯორჯ ჰინკეიპი იყო. ბრიტანელთა იმედი ბრედლი ვიგინსი მეოთხე ადგილს დასჯერდა. გამარჯვებულთან 30-წამიანი ჩამორჩენით მე-7 იყო წლევანდელი ტურის უმთავრესი ფავორიტი, ყაზახი ალექსანდრ ვინოკუროვი. მეორე ფავორიტმა, ესპანელმა ალეხანდრო ვალვერდემ კანცელარასთან 43 წამი წააგო.

ფაბიენ კანცელარამ კარიერაში მეორედ მოირგო „ტურ დე ფრანსის“ ლიდერის სარგო ყვითელი მაისურა და ეს მაისურა გუშინდელი, პირველი ეტაპის შემდეგაც შეინარჩუნა.

პირველი ეტაპის გზა ლონდონიდან, უფრო ზუსტად კი გრინვიჩის ობსერვატორიიდან დაიწყო და კენტერბერიში, ინგლისის ეკლესიის მეთაურის, კენტერბერიის არქიეპისკოპსის რეზიდენციის სიახლოვეს დასრულდა.

203-კილომეტრიანი გზის ბოლოს ჯგუფური ფინიში მოეწყო და ყველას ბელგიური „ლოტოს“ ავსტრალიელმა რობი მაკივენმა აჯობა, რომელიც რბოლის ფინიშისკენ სპრინტის სხვა დიდოსტატებს, თითქოს საკმაოდ ჩამორჩებოდა და უხეირო პოზიციაში იმყოფებოდა, მაგრამ ბოლო მეტრებზე მეტოქეთა ზურგსუკნიდან სასწაულებრივი აჩქარება მოახდინა და კარიერაში მოთორმეტედ მოიგო „ტურის“ ეტაპი.

### პროლოგი. ლონდონი. 8 კმ

| | |
|---|---|
| 1. ფაბიენ კანცელარა (შვეიცარია, CSC) | 8 წთ 50 წმ |
| 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა“) | +13 წმ |
| 3. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, „დისქავერი“) | +23 წმ |
| 4. ბრედლი ვიგინსი (ბრიტანეთი, „კოფიდისი“) | +23 წმ |
| 5. ვლადიმირ გუსევი (რუსეთი, „დისქავერი“) | +25 წმ |

### პირველი ეტაპი. ლონდონი — კენტერბერი. 203 კმ

| | |
|---|---|
| 1. რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო“) | 4 სთ 39 წთ 01 წმ |
| 2. ტორ ჰუსჰოვდი (ნორვეგია, „კრედიტ აგრიკოლი“) | |
| 3. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი“) | |
| 4. სებასტიენ შავანელი (საფრანგეთი, „ფრანსაიზ დე ჟუ“) | |
| 5. რომან ფეილუ (საფრანგეთი, „აგრიტუბელი“) | *ყველას იგივე დრო* |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ფაბიენ კანცელარა (შვეიცარია, CSC) | 4 სთ 47 წთ 51 წმ |
| 2. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა“) | %13 წმ |
| 3. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, „სონი დიუვალი“) | %21წმ |
| 4. ჯორჯ ჰინკეიპი (აშშ, „დისქავერი“) | %23წმ |
| 5. ბრედლი ვიგინსი (ბრიტანეთი, „კოფიდისი“) | %23წმ |

ძიუდო

# ევროხუთიანი

## ზებედას პასუხი ვერავინ შებედა

**მალტური** ევროპის ჩემპიონატი საქართველოს ჭაბუკ ძიუდოისტთა ნაკრებმა ხუთი მედლით დაასრულა. სამდღიანი ტურნირის პირველ დღეს მოპოვებული ვერცხლისა და ბრინჯაოს შესახებ შაბათს გაცნობეთ. უქმეებზე კი გურამ მოდებაძის შეგირდებმა ნადავლს ერთი ოქრო და ორი ბრინჯაო შემატეს.



ზებედა რეხვიაშვილი ევროპის ჩემპიონია

ტურნირი წაუგებლად 66 კილოგრამში მოჭიდავე ზებედა რეხვიაშვილმა გალია. ეს ბიჭი შარშანდელ ევროპირველობაზე ერთი წონით დაბლა, 60 კილოგრამში ავიდა კვარცხლბეკზე, მაგრამ მაშინ ოქროს ვერ შესწვდა. ახალ წონაში კი წინ ველარავინ დაუდგა. რეხვიაშვილის საჩემპიონო გზა რუმინელი ენდი ტარკოლეათი დაიწყო. ჩვენებურმა საქმე იპონით მოამთავრა. მერე ამ რუმინელს ძლიერი რუსი ელიმ კიტაევი, ავსტრიელი ალექს ფრომშაუერი და იტალიელი მასიმილიანო კაროლიც მიაყოლა და ფინალში გავიდა. იქ კი უკრაინელ არტიომ ბულიგას დაძაბულ შეხვედრაში გაფრთხილებით მოუგო და ვიტორიოსას დარბაზში საქართველოს ჰიმნიც აჟღერა.

გიორგი მერმანიშვილი (73კგ) ოქროსთვის ბრძოლას ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონთან, თურქ თანჟუ სოროლისთან წაგების შემდეგ გამოეთიშა და რეპეშაჟის ფინალში რუსი კაზბეკ გაზგირევის პირისპირ დადგა, მოუგო და ბრინჯაოს დაეუფლა. აქვე გიორგისგან ნახევარფინალამდე ჩამოცილებული მეტოქეებსაც ვახსენებთ: რუმინელი რაზვან პოპა, ლატვიელი ევგენი სოლოვიევსი და შვედი რობინ პაჩეკი ჩვენებურმა იპონ-იპონ ჩამოიშორა.

მძიმეწონოსანმა ვაჟა დაბრუნდაშვილმაც მესამე ადგილით მოიარა მალტა, ოღონდ მერმანიშვილისგან განსხვავებით, მან პირველსავე შეხვედრაში დაკარგა ჩემპიონობის შანსი. გერმანელ ლევენტ ვეისთან მარცხის შემდეგ კი ბელარუსი ძიანის პარხამუკი, რუმინელი ფლავიუს სმეუ და ბრიტანელი სამუელ ჰილი დაჯაბნა. თან სამივეს ხუთ წუთზე ადრე მოუმთავრა საქმე.

ქართული შვიდეულიდან მედლის გარეშე მხოლოდ დავით მერაბიშვილი (81 კგ) და გიორგი კობერიძე (90კგ) დარჩნენ. მერაბიშვილმა პირველ წრეში ინგლისელ ტომ შვარცთან ვაზარით წააგო და რადგან მერე ვერც ამან იყოჩაღა, ტატამზე გასვლის შანსიც აღარ მისცემია. კობერიძე აზერბაიჯანელი შაჰინ გახრამანოვისა და ლატვიელი ემილს ვილკანსის ძლევის შემდეგ მეოთხედფინალში გავიდა და იქ გერმანელ მაქსიმილ შაუპთან დამარცხდა. ბრინჯაოს გზა კი ბელგიელმა რაფაელ დუბოიშმა გადაუღობა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

სუმო

# აიტური კაი ტური

## კოკაიმ მეცხრედან მეათეთი დაიწყო

გუშინ იაპონურ აიტიში სეზონის მეოთხე დიდი ბაშო გაჩაღდა. უმაღლეს დივიზიონ მაკუტის ორმოცდაორ სეკიტორში, რა თქმა უნდა, ქართველი კოკაიცაა. ლევან ცაგურიამ მაისის ბაშოს ცხრაქულიანი მინუსბალანსის გამო რეიტინგსიაში უკან დაიხია და ახლა აღმოსავლეთის მეცხრე მაეგაშირად იწოდება. გუშინ ჩვენებური დასავლეთის მეათე მაეგაშირას, სამხრეთკორეელ კასუგაოს დაეჭიდა და პირველი ქულაც აიღო. „შავი ზღვა“ მეტოქეს წელში შეუვარდა და დოჰიოზე დასცა.

პირველი ტურის დასკვნით შეხვედრაში კი პირველი სენსაცია მოხდა. იმპერატორის თასის ოცგზის მომგები იოკოძუნა ასასიორიუ კომუსუბი ამინისიკისთან შერცხვა. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ მონღოლ „ცისფერ დრაკონს“ ამინისიკიმ ზედიზედ მეორედ მოუგო. თან, მაისის ბრძოლის მსგავსად, ახლაც ელვისებური სასტარტო შეტევის შემდეგ სწვდა ქამარ-მავასში და ფეხი დოჰიოს მიღმა გადააბიჯებინა.

ახალგამომცხვარმა იოკოძუნა ხაკუხომ იელისის ბაშო კომუსუბი ტოკიტენკუს ძლევით დაიწყო. გაზაფხულის ტურნირების ტრიუმფატორმა საწადელს კი მიაღწია, მაგრამ ვერც ისე ადვილად, როგორც მისი გულშემატკივრები ელოდნენ.

გამარჯვებებით დაიწყეს თხუთმეტტურა შეჯიბრი მეორე-მესამე იერარქიულ საფეხურზე მდგომმა დევკაცებმა. ოძეკები და სეკივაკეები დაბალრეიტინგიანებს გაუსწორდნენ. ბაშო ახალი გახურებულია და თანაბარრეიტინგიანთა რკენები ჯერ ადრეა.

დღეს კოკაი ექსსეკივაკე ხოკუტორიკის დაეჭიდება. ასასიორიუ და ხაკუხო კი რიგით მაეგაშირებს, ვაკანოსატოსა და დეძიმას.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ჟაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლალო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 7?, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge